№ 140 პარასკევი, 26 ივნისი 1909 წ. № 140

დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებათა მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მოკლე და მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ივლისიდან წლის ბოლომდე—5 მ. 10 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.

29 თიბათვეს ქ. გორის ოქონის ეკლესიაში ორმოცი დღის გარდაცვალების გამო, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი

ეკატერინე გარსევანის-ასულის **სამთლიკუდოვის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს მეგობართა და ნაცნობთ გარდაცვალებულის მეუღლე **კოსტანტინე სამთლიკუდოვი.** (1—ფ.—1)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრი

პარასკევს, 26 ივნისს, 1909 წ. ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება პირველი მოქმედება **გ. დ. ანუნციოს** ახალ პიესისა:

იორიას ასული

თარგ. იოსებ იმედაშვილისა.

იორიას ასულის როლს შეასრულებს მ. მდივანი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ამირაჯიბი, თ. ბერიშვილი, ნ. გელიტაშვილი. მ. გოგოლაშვილი, ნ. გიორგობიანი, ნ. დადვაძისა, მ. ზარდიაშვილი, მ. ლელაშვილი, თ. და ნ. ნათიშვილი, ნ. თოჩაძე, ე. ციმაკურიძე, ა. ქიქოძე; ბ-ნნი: ბერიშვილი, გ. ანიძე. ბ. დადვაძე, გრიმაშვილი და სხვ.

პიესას დასდგამს ალ. წუწუნავა.

„რუკი-ვერხ“

კომ.-ხუმრობა 1 მოქ. ვ. ურუშაძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გელიტაშვილი; ბ-ნნი ანიძე, იმედაშვილი-ზამბელი, დადვაძე, ურუშაძე, თ. დოლიძე და სხვ.

საკონცერტო განყოფილება

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა თ. მნელაძე, პრესინსკაია; ბ-ნნი ნ. ერისთავი, ია კარგარეთელი, გ. ჩუბინაშვილი, ი. აბაშიძე, გრიმაშვილი, ურუშაძე და სხვანი. ადგილების ფასი 1 მ. 50 კ.-დან 15 კაპეიკამდე.

დასაწყისი სწორედ საღამოს 9 საათზედ.

საზოგადოების საყურადღებოდ. ფარდის ახდის შემდეგ დარბაზში შესვლა არ შეიძლება. (2—ნ.—2) გამგე **ვ. ურუშაძე.**

ანონსი

ელექტრო-ბიოგრაფი

„მუზა“

გაიხსნება ივლისის პირველ რიცხვებში, ამ დროისთვის გათავდება აგება და მოწყობა შენობისა, აგრეთვე ბაღისა. სპეციალურად გაუმჯობესებული მაშინები და აპარატები უკვე მიღებულია.

ბაღში მოწყობილია განსაკუთრებული ვერანდა სურათების საჩვენებლად გარედ ჰაერზე. იქვე დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი. მთელი შენობა და ბაღი დიდებულად იქნება გაჩირაღდნებული და განათებული ელექტრონის ლამპრებით.

დაწვრილებით და აგრეთვე დღე გახსნასა ცალკე აფიშებით იქნება გამოცხადებული.

ელექტრო-ბიოგრაფი „მუზა“

მოთავსებული იქნება მიხეილის პროსპ. N 163, ბაქოს ქუჩის კუთხე, ტფილისის ობსერვატორიის პირდაპირ. (1—გაქ.—1)

ამხ. „სორაპნის“ გამოცემა

„ახალი ჩანგი“

20 ამ თვისთვის ვეღარ გამოვიდა, რადგან წიგნის სიპატარავის გამო განძრახული მასალა აღარ ჩაეტია, ხოლო შემოკლებით გამოცემა წიგნისა კი უხერხულად ვცანით. ამიტომ „ახალი ჩანგი“ გამოვა დიდი ზომის წიგნად, ე. ი. იქნება 450 გვ. და შეიძლება მეტიც. წიგნში ჩართული იქნება 50-ზე მეტი სურათი ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და მრავალი ახალი ვინეტკა განგებ «ახალი ჩანგისათვის“ ამოჭრილი. ხელის მომწერთათვის ეს წიგნი ეღირება 50 კაპ., **ვისაც 25 კაპეიკი გადახდილი აქვს, მან კიდევ 25 კაპ. უნდა დაუმატოს. ვინც არ მოისურვებს 25 კაპ. დამატებას, მას შეუძლია თავისი 25 კაპ. უკანვე წაიღოს.** ფულის უკანვე მიღება და დამატება შეიძლება იმ აგენტთან, სადაც ნაყიდია „ახალი ჩანგის“ კვიტანციები. ფულის დამატება შეიძლება **ივლისის 10 რიცხვამდის.** ვინც ამ ხნის განმავლობაში 25 კაპ. არ დაუმატებს, მას წიგნი აღარ მიეცემა, მხოლოდ პირველად შემოტანილი ფული 25 კაპ. დაუბრუნდება უკან, როცა მოითხოვს. ვისაც ფოსტის საშუალებით აქვს გამოწერილი, მათაც ამნაირის წესით უნდა დაუმატონ.—ვინც 10 ივლისამდე არ დაუმატებს, მას თავისი მარკები უკანვე გაეგზავნება.

რადგან „ახალი ჩანგი“ დიდი ზომის წიგნია და დაუკაზმავად უხერხული სახმარი იქნება, ამიტომ ჩვენ ვაკეთებინებთ ყდებს. ყდები საუკეთესო „რიპსის“ კალენკორისაგან იქნება გაკეთებული, მოვარაყებულის წარწერებით. ხელის მომწერთათვის ყდა ეღირება 25 კაპ. (ამნაირი ყდა ცალკე წიგნის 50 კაპ. ღირს). ვისაც ენებება, რომ წიგნი ყდიანი მიიღოს, მან უნდა დაუმატოს სულ 50 კაპ.

«ახალი ჩანგი» ცალკე გასასყიდადაც გამოვა. ყდიანი ეღირება 1 მ. 25 კაპ. ახალი ხელის მომწერლები აღარ მიიღებიან. „წიგნი გამოვა ივლისის დამლევს“. ფოსტის ადრესი: Тифлисъ т-во „Сорапанъ“ М. Гачечиладзе. (7—ნ.—3)

უკვე დაიბეჭდა ცალკე წიგნად და გასასყიდად დაურიგდათ წიგნის მაღაზიებს

ვასილ ყიფიანის

ორიგინალური ისტორიული დრამა ხუთ მოქმედებად

სამეგრელოს მთავარი ლევან

ფასი 40 კაპ.

ტფილისს გარედ მცხოვრებთ, ვინც გაზეთ „დროების“ კანტორიდან დაიბარებს წიგნს, გასაგზავნი ფული არ გადახდებათ. ფულის მაგიერ მარკებიც შეიძლება გამოიგზავნოს.

სახალხო სახლი.

შაბათს, 27 ივნისს, გაიმართება

ინტერნაციონალური

კონცერტი

წაიკითხავენ ლექსებს და იმღერებენ, ქართულად, რუსულად, სომხურად, თათრულად, გერმანულად, ოსურად, ფრანგულად, ესპერანტოზე, იტალიანურად, პოლონურად, მალოროსიულად და სხვა ენებზე. აგრეთვე დაუკრავენ სკრიპკაზე ძმები პანცევები. 7 და 8 წლის და და ძმა იმღერებენ ოპერიდან „პიკოვაია დამა“; ვ. ურუშაძე წაიკითხავს გურულ სცენებს; ბ. მინიონსკი წაიკითხავს შემლილის წერილებს—აპუხტინისას.

ბოლოს საზანდარი და ლეკური. დაწვრილებით პროგრამებში.

დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე.

ადგილების ფასი 5 კ.-დან—50 კაპ. ბილეთები იყიდება ყოველ დღე სახალხო სახლის კასაში დილით 12—2 ს. საღამოთი 6—8 საათზე.

(2—134—1) გამგე **თ. დოლიძე.**

კვირას, 28 ივნისს, **გ. კანევსკი** წაიკითხავს ლექციას

გრაფოლოგიაზე

ანუ წერაში ხელის განსაკუთრებულ თვისებაზე.

ფიზიოლოგიურ და პსიხოლოგიურ საბუთებით არკვევს, რა კავშირი აქვს კაცის ხასიათსა და ნაწერის ხელს და იგებს მისს სულიერ ცხოვრებას.

ლექცია დაიწყება დილის 11 ს. ფასები 5 კ.-დან 50 კაპეიკამდე. ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში დილით 12—2 ს. საღამოთი 6—8 საათზე. (2—314—1)

ახლად გახსნილი

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოკზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ლამბაშიძე—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ. მ. მაკაროვი—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

საღამოთი.

ა. გ. მირზოევი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. გ. ჭიჭინაძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—94)

ექიმი კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლღას ქუჩა N 25. (უ)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმები კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის-ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—179)

რადგან მიღებულია ნება-რთვა ტფილისელ ხელოსანთათვის

წვრილი კრედიტის საზოგადოების

დასაარსებლად, ამიტომ ხელოსანთა რწმუნებული სთხოვს დამაარსებელ წევრებს, მობრძანდნენ საზოგადო კრებაზე, რომელიც მოხდება პარასკევს, 26 ივნისს, დილის 11 საათზე, ტფ. სახელოსნო გამგეობის სადგომში. (1—ნ.—1).

საჭიროა

მასწავლებელი

წერა-კითხვის საზოგადოების სკოლისათვის ს. დიდ-გომარეთში.

(ბორჩალოს მ.)

მასწავლებელს ექნება ბინა და ჯამაგირი თვეში 30 მან.

მსურველმა უნდა გამოგზავნოს თხოვნა და საჭირო საბუთები გამგეობის სახელზე (ტფილისი, წერა-კითხვის საზოგადოება). (3—1)

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში

1 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს სოლომონის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით 9—1 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—2)

ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—111)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 97)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 ივნისი

სპარსეთი

თეირანი. იმ ამბავმა, რომ კაზვინში მალე რუსის ჯარი გაჩნდებაო, თავისი გავლენა იქონია. მუშტეიდები, რომელთაც ამ რამდენიმე ხნის წინად რუსეთის საელჩოს წერილი გაუგზავნეს და მუქარას უთვლიდნენ, ეხლა თხოულობენ ამ წერილის შინაარს ცუდად ნუ გაიგებთო. ამას გარდა მუშტეიდები აცხადებენ, ჩვენა ვკისრულობთ უცხოელების დაცვასო. ერთი გაზეთის რედაქტორი, რომელიც თავის გაზეთში რუსის ჯარსა ჰკიცხავდა, შუამდგომლობს, ნება მომეცით, საელჩოს წინაშე ბოდიში მოვიხადოო. საელჩოებმა ნაციონალისტების მეთაურს სეპეხდარს თავიანთი პასუხი დილით გაუგზავნეს კერეჯში. დროებითი ხაზი 23 ივნისს გათავდა.

თეირანი. გამოაქვეყნეს საარჩევნო კანონი. თეირანში არჩევნები უნდა დაიწყოს 10 დღის შემდეგ. კერეჯში მოვიდა ბახტიარების ნაწილი. ეს უკანასკნელნი სეპეხდარს შეუერთდნენ. სეპეხდარმა საელჩოებს პასუხი გაუგზავნა. სეპეხდარი ატყობინებს, სამხედრო მოქმედებას თავს ვერ დავანებებო. კაზვინში დიდი არეულობაა, ყველგან აგიტაციას ეწევიან და ომს ჰქადაგებენ. სატახტო ქალაქში მუშტეიდი სადარ-ულ-ულემა აშკარად ჰქადაგებს ომს და საყოველთაო გაფიცვას.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს თეირანიდან ატყობინებენ: რუსეთისა და ინგლისის ელჩებმა სეპეხდარს შეატყობინეს, მხარს დაუჭერთ თქვენს ორ მოთხოვნას, სახელდობრ იმას, რომ შაჰმა დაითხოვოს თავისი მახლობელი რეაქციონერები და ახალი სამინისტრო შეადგინოსო. „დეილი-ტელეგრაფის“ სიტყვით, სეპეხდარს უარი განუცხადებია, ამისთანა კომპრომისს ვერ მივიღებო და ელჩისთვის უცნობებია, მივდივარ თეირანზეო.

თეირანი. კაზვინიდან იუწყებიან: ადგილობრივი რევოლიუციონერები ხალხის ასაჯანყებლად ავრცელებენ, რომ ნეჯეფიდან ჩამოვა გავლენიანი მუშტეიდი კაზიმ ხოროსანი, რომელიც ისპაჰანის, ხამადანის, იენჯანის ადგილობრივ და სხვა ქალაქების მოლების და მეთაურების დახმარებით თეირანზე საერთო გალაშქრებას მოაწყობსო.

ოსმალეთი

სტამბოლი. სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა მაჰმადიანთა ასოციაციის მეთაურს 31 მარტის არეულობის სულის ჩამდგმელს შეიხს ვახდეტტის და იუსუფ-ფაშას, ერზერუმის ყოფილ კომენდანტს.

დეპუტატთა პალატაში საზღვაო მინისტრმა შეიტანა კანონ-პროექტი, რომლითაც ფლოტისთვის ხარჯთ-აღრიცხვის გარეშე 337,000 ოსმალურ გირვანქას თხოულობს. პალატამ საჩქაროდ განიხილა ეს კანონ-პროექტები და დაადგინა, სამინისტროს მიეცეს 167,000 გირვანქა. აქ მდგომი ფლოტი არხიპელაგში წავა.

საზღვარ-გარედ.

ლონდონი. ინგლისში ყოფნის უკანასკნელ დღეს სახელმწიფო საბჭოს და სათათბიროს დეპუტატები დაესწრნენ ნავების გაჯიბრებას. ნავების გაჯიბრება მოხდა ქალაქ გენლიში. დეპუტატებს მიესალმა გენლის ქალაქის თავი და ადრესი მიართვა. მცხოვრებლები დეპუტატებს ალტაცებით მიეგებნენ, ისმოდა ყვირილი, „გაუმარჯოს რუსეთსაო“. წასვლის წინ დეპუტატები გამოაქვეყნებენ შემდეგ წერილს: „რადგან ჩვენი წასვლის დღე დგება, ამიტომ გთხოვთ მიიღოთ ჩვენი გულწრფელი მადლობა იმ ზრუნვისათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ჩვენი მიღების დროს. ჩვენ ვიცით, რამდენი შრომა უნდა დახარჯულიყო, რომ ყველაფერი ასე კარგად მოწყობილიყო, მაგრამ ჩვენ უფრო იმან გვასიამოვნა, რომ ეს ამოდენა შრომა გულწრფელი გამოხატულება იყო ჩვენი და ჩვენის ქვეყნის კეთილყოფილებისა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ დადგება დრო, როდესაც თქვენ, ან სხვა ინგლისელები და შოტლანდიელები შეძლებას, მოგვცემთ ესევე დაგიხვდეთ რუსეთში. ჩვენ გვწამს, რომ ის სტუმართ-მოყვარეობა, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ, ერთი გზათაგანია, რომელიც ინგლისსა და რუსეთს დაახლოვებს, რასაც, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, რუსეთი და ინგლისი ერთნაირად ელტვიან.“

ბერლინი. თავად ეილენბურგის საქმის გარჩევა გამოურკვეველ დრომდის გადაიდო, რადგან ექიმების შემოწმებით თავადი ეილენბურგი ავად არის და არ შეიძლება მას სასამართლოში ჩვენება ჩამოართვან.

ვენა. დეპუტატთა პალატა. რამდენიმე დღეა, რაც მოლაპარაკებაა გამართული იმ პარტიებთან, რომელნიც ობსტრუქციებს ახდენენ. მათ პალატაში 60 საჩქარო შეკითხვა შეიტანეს. ამათი განხილვა აგვიანებს გაიყვანონ კანონ-პროექტი, რომლითაც ბალკანეთის სახელმწიფოებთან სავაჭრო ხელშეკრულობანი უნდა დაიდოს.

იმპერატორმა მიიღო ვეკერლე და მიანდო ხელმეორედ შეადგინოს სამინისტრო. ამრიგად, უნგრეთის კრიზისის დაბოლოვება შემოდგომამდის გადაიდო.

რუსეთი

პეტერბურგი. 9-ნახევარ საათზე ხელმწიფე-იმპერატორი პოლტავაში წავიდა.

იაროსლავი. იაროსლავის ბირჟამ სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლად აირჩია ნიკიფოროვი.

კიევი. ქალაქის თვითმმართველობამ დაადგინა იშუამდგომლოს საერო განათლების მინისტრის წინაშე, რომ კიევში შემოღებულ იქმნეს საყოველთაო პირველდაწყებითი სწავლა.

პეტერბურგი. დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 90, გარდაიცვალა 30, მორჩა 50 კაცი, საავადმყოფოში 692 კაცია.

პეტერბურგი. რადგან საშიშოა, რომ ამ ზაფხულში ხოლერა ძალიან გავრცელდება, ამიტომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანება გასცა, დაათვალიერონ და გამოიძიონ ქალაქის რომელი ნაწილია უფრო საშიშო ხოლერის მხრივაო.

ადმინისტრაციის განკარგულებით, კონფისკაცია უყვეს გაზეთ „სლოვო“-ს მე-836 ნომერს. გაზეთის რედაქტორს ანდრიანოვს სამართალში აძლევენ.

ჟურნალისტის დღიური

4.

კიდევ სტუდენტებზე.

ჩემ პირველ წერილში ქართველ სტუდენტების შესახებ („დროება“, № 121), სხვათა შორის, ოდესაში მომხდარი ფაქტიც აღვნიშნე და ის აზრი გამოვსთქვი, რომ კერძო პირების უსინიდისო საქციელის მოსასპობად კერძოდ მათ წინააღმდეგ მიმართული ზომები არა კმარა-მეთქი. ლაპარაკი მაშინ იმ ბოიკოტის შესახებ მქონდა, რომელიც ოდესელ ქართველ სტუდენტებს ერთ თავის თანამემამულესათვის გამოეცხადებინათ.

მაშინაც ვამბობდი და ეხლაც ვიტყვი, რომ დამღუპველი კერძო პირების მოქმედება კი არ არის, არამედ ის ფსიხიური ატმოსფერა, რომელიც ზრდის და ასაზრდოებს ყოველისმხრით უზნეო ადამიანებს. სტუდენტებში კი თან-და-თან მაგრა იკიდებს ფესვებს ისეთი სულიერი განწყობილება, რომლის ლოღიკურ დასკვნათაც ახლო მომავალში,—მე ამაში ღრმადა ვარ დარწმუნებული,—სტუდენტების სრული დემორალიზაცია შეიქმნება. სტუდენტებსაც ეკარგებათ თან-და-თან ზნეობრივი სიფაქიზე, ახალ-გაზდური სიმტკიცე ხასიათისა, რომელიც ყოველთვის იმაგრებდა ხოლმე სტუდენტებს. სტუდენტების დემორალიზაცია და უპრინციპობა თავის-თავად არ დაბადებულა: იგი ღვიძლი შვილია ჩვენი საერთო საზოგადოებრივ ცხოვრებისა. ხშირად იქაც კი, სადაც გამოქანდაკებული პრინციპიალობა ეჩვენება ადამიანს, ნამდვილად მეტად დუხჭირი უპრინციპობაა ხოლმე. ქართველ სტუდენტების უპრინციპობა მთელი ჩვენი უპრინციპობის გამონაკლია.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში დაბეჭდილია წერილი სტუდენტის გიორგი ბელქანიასი, რომელიც მე ამ უპრინციპობის და უკიდურეს გაკადნიერების ნიმუშად მიმაჩნია. გაკადნიერება ბევრნაირი მინახავს, მაგრამ თუ ამ ზომამდე მივიდოდა,—ამას კი ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი.

ბ-ნი ბელქანია ოდესაში მომხდარ ამბავს მოგვითხრობს და იმ სტუდენტის გამართლებასა სცდილობს, რომელსაც ოდესის ქართველმა სტუდენტობამ ზურგი შეაქცია. ვინა სტყუის მათ შორის,—ამის გამოძიებას მე არ შევუდგები; დაინტერესებული მხარე, უეჭველია, თვითონვე გასცემს პასუხს ბ-ნ ბელქანიას. მე მინდა მხოლოდ დავასურათო ის გახრწნილობა, რომელიც ბ. ბელქანიას წერილში გამოსჭვივის.

თავის გამართლების უფლება ყველას აქვს; აგრეთვე ყველას უფლე-

ბა აქვს სხვის ვექილობა იკისროს. მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ ყველას შეუძლიან ვექილობა. ბ-ნ ბელქანიას რომ გონიერების ერთი იოტი მაინცა ჰქონოდა, თავის დღეში ქვემო დასტამბულ წერილს დასაბეჭდად არ გამოჰგზავნიდა.

რომ საქმის ვითარება უფრო გასაგები გახდეს მკითხველისთვის, ოდესაში მომხდარ ამბავს მოვაგონებ. ერთი ქართველი სტუდენტი, სახელდობრ, ანდრია დღებუაძე, ჭეშმარიტ რუსთა კავშირში ჩაწერილა. იგი ამას არავის ეუბნებოდა, მაგრამ მალე ამხანაგებმა გაუგეს და ბოიკოტი გამოუცხადეს. მიუხედავად ამ ბოიკოტისა, ზოგიერთი სტუდენტები, როგორც გადმოგვცემენ, განაგრძობდნენ მასთან მისვლა-მოსვლას და ამხანაგობას. თავს იმით იმართლებდნენ, რომ სტუდენტების მიერ გამოქვეყნებული ამბავი დამტკიცებულად არ მიგვაჩნიაო. მაგრამ ანდრია დღებუაძეს პროფესორთა სადისციპლინარო სასამართლოში თავისი პატიოსანი პირით განუცხადებია, მე ჭეშმარიტ რუსთა კავშირის წევრი ვარო.

ჩვენ ამ ჟამად მხოლოდ ფაქტი გვაინტერესებს. როგორ სწარმოებდა ანდრია დღებუაძის გასამართლების საქმე,—ეს ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს და, მგონია, არც მკითხველისთვის უნდა იყოს ძალიან საინტერესო. თვით ფაქტს კი ანდრია დღებუაძის ვექილი ბ ნი ბელქანიაც კი არ უარ-ჰყოფს. იგი თავის წერილში სწერს: „როგორც გაზეთებიდან გაიგებდით, ბ-ნი დ—ძე ამა წლის იანვრის თვეში **რაღაც შეცდომით** შეიქმნა წევრი ჭეშმარიტ რუსთა კავშირისა. რამ აიძულა ბ-ნი ა. დ—ძე ასეთს ნაბიჯზე, თუმცა ეს არ არის ინტერესს მოკლებული, **მაგრამ ამაზე აქ მსჯელობა სრულიად უადგილოდ მიმაჩნია.**“ რა არის ეს? განა შესაძლებელია შეცდომით ჭეშმარიტ რუსთა კავშირის წევრად გახდომა? ან რად მიაჩნია ბ-ნ ბელქანიას უადგილოდ ამაზე მსჯელობა? ან რაღა აქვს „სამსჯავრო“, როდესაც თვითონ აღიარებს, დღებუაძე „შეცდომით“ ჩაეწერა კავშირშიო? ან კიდევ ვილას ამტყუნებს ბ-ნი ბელქინია? ქართველ სტუდენტებს? რა უფლებით? ნუ თუ იმიტომ, რომ დღებუაძის ნამდვილი ფიზიანომია გამოარკვია! სასაცილოა, ფრიად სატირელი რომ არ იყოს. დღებუაძემ იმას მიმართა, ამას მიმართა, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქციაო. ამ საყვედურს რაიმე მნიშვნელობა ექნებოდა, მაშინ, საქმე გამორკვეული რომ არა ყოფილიყო ან სხვისთვის, ან თვით ბ ნ ბელქანიასთვის. მაგრამ დღეს, როდესაც თვით ბ-ნი ბელქანია აცხადებს, დღებუაძე კავშირში ჩაეწერაო, სასაყვედურო, ყოველს შემთხვევაში, მას მაინც აღარა აქვს-რა. ბ-ნი ბელიქანია რომ იდუმალი თანამგრძნობი არა ყოფილიყო კავშირისა, მადლობას ეტყოდა იმ თავის ამხანაგებს, რომელთაც მასზე ადრე დაინახეს დღებუაძის, ნამდვილი ფიზიანომია და მშრალზე გამოიყვანეს. ყველა ამის მაგიერად იგი საყვედურებს უთვლის ქართველ სტუდენტებს და დღებუაძის შავრაზმელობას ისე იხსენებს, თითქოს აქ ქართველ სტუდენტისთვის სრულიად არაფერი სათაკილო არ მომხდარიყოს,

აი, ეს არის ჩვენი დამღუპველი, ბ-ნმა ბელქანიამ მჭერმეტყველურად დაასაბუთა ჩემს პირველ წერილში გამოთქმული აზრი. ბ-ნ ბელქანიას წერილიდან ნათლად დაინახავს მკითხველი, რა უპრინციპობა და ზნეობრივი გახრწნილობა იკიდებს ფესვს ჩვენს სტუდენტობაში.

ბ-ნ ბელქანიას მთელი წერილის კილო იმნაირია, კაცს ეგონება დამნაშავენი ის სტუდენტები არიან, რომელთაც დღებუაძის ვინაობა გამოაშკარავეს, და არა დღებუაძე, რომელიც ჭეშმარიტ რუსთა კავშირში ჩაეწერა. ყველას უფლება აქვს ჭეშმარიტ რუსთა კავშირში ჩაეწეროს; მაგრამ ასეთივე უფლება აქვს ყველას მთელი თავისი ზიზღი გამოუცხადოს ამისთანა პირებს. ბ-ნ ბელქანიასაც სრული უფლება აქვს გულ-გრილად მოისმინოს დღებუაძის შავ-რაზმელობა; მაგრამ ასეთივე უფლება აქვს სხვებს ზიზღით მოიხსენონ ისეთი ვაჟ-ბატონები, რომელნიც ზნეობრივ გახრწნილებას, უპრინციპობას გულ გრილად უცქერიან.

ჩვენს ჩვენს პირდაპირ მოვალეობად მიგვაჩნია ყოველთვის ვებრძოლოთ ხოლმე ჩვენი ცხოვრების გამათახსირებელ პირობებს. ქართველ სტუდენტების ერთი ნაწილის წარყვნილი ფსიხიკა ერთი ამ პირობებთაგანია. უნდა გაიფანტოს ის აშმორებული ჰაერი, რომელიც თანდათან სწამლავს ჩვენს ახალგაზრდობას. და რომ ჰაერი, რომლითაცა საზრდოობს ჩვენი ახალგაზრდობა მართლა აშმორებული და მოშხამულია, ამაში ეჭვი არავის დაებადება.

შინაური.

P. S. ბ-ნი ბელქანია ზოგიერთ სტუდენტს დიდ ბრალსა სდებს, სურს ჩირქის მოცხებით მოწმეების ჩვენება გააბათილოს. ჯერ ერთი, რომელიმე მოწმე მართლაც რომ ცუდად მოქცეულიყო როდისმე, ამითი არსებითად საქმის მდგომარეობა არ შეიცვლება: ანდრია დღებუაძე და მისი ქომაგის სახელი ისევ შერცხვენილი დარჩება, ქართველ სტუდენტების მოქმედება სრულიად შეუმწიკვლელი. მეორეც, თუ ბ-ნმა ბელქანიამ ვისმეზე რამე იცოდა, იქ, ოდესაშივე, უნდა გაემხილა; მაშინ უეჭველია, სტუდენტებიც რაიმე ზომას მიიღებდნენ.

შ

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **სანამესტნიკოს გაუქმება.** „რეჩის“ სიტყვით, პეტერბურგში ხმა დადის თურმე, რომ კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი კავკასიაში აღარ დაბრუნდებაო. ნამესტნიკს „წითელ ჯვრის“ უფროსად დანიშნავენო.

◆ **სესხი.** ქართლ-კახეთის სანთლის ქარხნის თანხიდან, სამღვდელოების დეპუტატთა თანხმობით, ჯერ ისევ 1887 წელს 2,787 მან. მიეცა საქართველოს ექსარხოსის სადგომისა და ეკლესიის შესაკეთებლად. ეს ფული სესხად იქმნა მიცემული. ექსარხოსის ეკლესიას დაუხარჯავს აგრეთვე 3449 მანეთის სანთელი. მიუხედავად არა ერთ გზის მოთხოვნისა ფული დღესაც არ გადაუხდიათ. აზრადა აქვთ სთხოვონ ექსარხოსის მოადგილეს, ფული ქარხანას დაუბრუნოს.

◆ **ახალი წიგნი.** მოგვივიდა ახალი წიგნი სილოვანისა: „ჩემი აზრი და ფიქრები № 3. აღსარება“. ფასი ერთი შაური.

◆ **ქალთა კურსები დიდებისთვის.** კვირას, 28 ივნისს, „ინტერნაციონალის“ ბაღში (ყოფილი საზაფხულო სადგომი ტფილისის საკრებულოსი) მიხეილის პროსპექტზე იმართება საინტერესო სეირნობა ქალთა კურსების სასარგებლოდ. ქალთა კურსები სამი წელიწადია არსებობს. დაარსა იგი ერთმა ჯგუფმა მასწავლებელ ქალთა საზოგადოების დახმარებით კურსები მოზრდილ ქალთათვის არის, რომელთაც სწავლის ვადა გასვლიათ და არსად სწავლა არ მიუღიათ. ასეთ ქალებს ამზადებენ სხვა და სხვა სამსახურისათვის: რკინის გზაზე, ტელეფონზე, ტელეგრაფზე და სხვაგან. სწავლის ფასი თვეში ხუთი მანეთია. წელიწადში კი—65 მ. განზრახული სეირნობა კვირას ძალიან საინტერესო იქნება,

◆ **წაუღებელი საქონელი.** როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ტფ. სადგურზე მრავალი საქონელი რჩება, რომელნიც რაიმე მიზეზით პატრონებს არ მიაქვთ. ასეთი საქონელი განსაზღვრულ დროს შემდეგ საჯარო ვაჭრობით იყიდება ხშირად სულ მუქთად. რამდენიმე ხანია ქალაქის გამგეობა სცდილობდა ამ ნივთების გაყიდვის უფლება ქალაქის სააუქციონო ზალისათვის მოეპოვებინა, მაგრამ ვერას გახდა. ეხლა სააუქციონო ზალის გამგემ ბ-ნმა ყიფიანმა გააცნო მექარხნეებს მდგომარეობა სააუქციონო ზალისა, მისი უფლება და სთხოვა ნებართვა, მოუთხოვნელი საქონელი რკინის გზისაგან გამოიყიდოს ხოლმე ზალამ და თავის ფასდადებით გაჰყიდოს. ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა ეს საქმე და დაადგინა, განემარტოს ზალის გამგეს, რომ მას ქალაქის გამგეობისა თუ საბჭოს ნება დაურთველად უფლება არა აქვს ასეთი მიწერ-მოწერა იქონიოს და დამოუკიდებლად იმოქმედოს, რადგან ეს ხარჯს იწვევსო.

◆ **ყაჩაღების მოკვლა.** ზაქათალის ოლქში სტრაჟნიკებს მოუკლავთ ორი ყაჩაღი შაბანი და ტინოვი.

◆ **განსაკუთრებული კომისია.** ნამესტნიკის თანაშემწის მიცკევიჩის თავმჯდომარეობით ამ ჟამად მუშაობს განსაკუთრებული კომისია, კომისიამ უნდა შეადგინოს სამოქალაქო დებულება (гражданское уложенiе) კავკასიის საჭიროებათა მიხედვით. კომისიაში მონაწილეობას იღებენ სასამართლო უწყების წარმომადგენელნი. პროექტი შემდეგ სახელმწიფო სათათბიროს წარედგინა (კ.)

◆ **მეცხვარეობის საზოგადოება.** უკვე ვწერდით, რომ ტფილისში არსდება საზოგადოება მეცხვარეობისა და საქონლის მოშენებისა. შუამდგომლობა ამ საზოგადოების დაარსების შესახებ უკვე აღუძრავთ გ. ყაზბეგს, თავ. ლ. ჯანდიერს და სხვებს, 16 კაცს.

◆ **გამოკვლევანი ახალ რკინის გზის გასაყვანად.** როგორც ვწერდით, მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, რაც შეიძლება ჩქარა გაიყვანოს რკინის გზა ყარსიდან ოსმალოს საზღვრამდე (ყარს—სარაყამიში—საზღვარი) 18 ივნისს ყარსში, ინჟენერის რაციბორსკის მეთაურობით უკვე ჩასულა ინჟენერთა და ტეხნიკოსთა დასი, რომელიც ამ დღეებში შეუდგება საჭირო გამოკვლევებს.

◆ **უცხოელი ტურისტები.** ბათუმის გაზეთის სიტყვით, ეხლახან სვანეთიდან დაბრუნებულან უცხოელი ტურისტები—გრაფი მეტცენაუ ლიბერიის რესპუბლიკის ელჩი გრაფი დე-ანტი, ბანკირი ფონ-პალეზე, ავსტრიის ტყეების გამგე ფონ-შტელცერი და გრაფი მურიში. ესენი, ბ-ნ სერებრიაკოვის წინამძღოლობით, სვანეთში ყოფილან ჯიხვებსა და მთის არწივებზე სანადიროდ და, საზოგადოდ, სვანეთის ბუნების გასაცნობად. მოგზაურებს ძალიან მოსწონებიათ სვანეთი. სვანეთიდან წაუყვანიათ ორი ცოცხალი დათვი და ნიმუშები ადგილობრივ ფლორისა და ფაუნისა.

◆ **სასამართლოში.** ტფილისში გამოდის „ჭეშმარიტ რუსთა“ გაზეთი „რუსკი კავკაზი“, რომელშიაც არა რუსების ლანძღვის მეტი არაფერი იბეჭდება. სხვათა შორის ამ გაზეთმა საზიზღარი ცილის-წამება დაბეჭდა ავლაბრის გიმნაზიის ინსპექტორზე, იაკობ ღულაძეზე. ღულაძემ სასამართლოს მიმართა. გამომძიებელმა ამ დღეებში დაიბარა მომჩივან-მოპასუხე და წინადადება მისცა შერიგებულიყვნენ. შერიგება არ მოხდა და საქმე ოლქის სასამართლოს გადაეცა, სადაც მალე გაირჩევა კიდეც.

◆ **წარმოდგენა.** დღეს ზუბალაშვილების სახალხო თეატრში სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება პირველი მოქმედება ახალი პიესისა „იორიოს ასული“. ითამაშებენ აგრეთვე მხიარულ კომედიას „რუკი ვერხ“! დასასრულ, გაიმართება კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობენ: ქ-ნნ ნ. გაბუნია-ცაგარლისა, თ. ძნელაძე, ვრესინსკაია, [illegible] კარგარეთელი, ნ. ერისთავი, პ. ურუშაძე, ჩუბინაშვილი, [illegible] და გრიშაშვილი.

◆ **აკრძალეს.** სამღვდელოების დეპუტატთა კრებამ წარსულ წლის დამლევს, სხვათა შორის, დაადგინა, გამოსცეს ყოველ-კვირეული თუ ორ-კვირეული ჟურნალი. რედაქტორად აირჩია მღ. ჩიჯავაძე. ამავე კრებაზე დეპუტატებმა აირჩიეს განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაავალეს: დეპუტატების ამა თუ იმ დადგენილების განხორციელება. სასულიერო მთავრობამ კომისიას მოქმედების ნება არ დართო. ხოლო არჩეული რედაქტორი არ დაამტკიცა.

◆ **ბაქოს მუშების დადგენილება.** „ბაკუს“ სიტყვით, ბაქოს ნავთის-მრეწველობის მუშათა გამგეობას დაუდგენია აღარავითარი ცნობა აღარ მისცეს გაზეთებს „ბაკუს“ და „კასპის“. ამისი მიზეზი ისა ყოფილა, რომ ამ გაზეთებს უკანასკნელ დროს მუშების საწინააღმდეგო პოზიცია დაუჭერიათ.

◆ **ძველი ნივთების პოვნა.** როგორც გაზეთი „ახურიანი“ (ალექსანდროპოლში გამოდის) იუწყება, სოფელ აშნაკ-ანარანაში სამ თათარს გაუთხრია ძველი სასაფლაო. უპოვიათ ბევრი ძველი ნივთი. ოქროს ნივთებიც ძვირფასი ქვებით. სხვათა შორის ბევრი რომაული ფულია იმპერატორ ავგუსტის სურათით. თათრებისთვის ზოგიერთი ნივთები გამოურთმევიათ და ეჩმიაძინში წაუღიათ.

◆ 25 ივნისს ვორონცოვის ქუჩაზე, ტოლდეს ქარხნის მახლობლად, პოლიციელმა გუდკოვმა დააპატიმრა ერთი ფურგუნი, რომლითაც სიღნაღის მცხოვრებ პეტრე გიკორაშვილს მიჰქონდა 6 ფუთი ცოცხალი თევზი. გიკორაშვილს თევზი ჩამოართვეს და პასუხის გებაში მისცეს დაშლილ დროს თევზის ჭერისათვის.

◆ 24 ივნისს ორთაჭალაში, მნაცაკანოვის ქუჩის შესახვევში, პოლიციამ დააპატიმრა ახალციხის მცხოვრები მარტიროს ზრხიანცი, რომელსაც უნახეს და ჩამოართვეს მაუზერის თოფი. ზრხიანცს თოფის ტარების ნება არ ჰქონდა.

* * *

სახალხო ლექსებისა და ზღაპრების შემკრებთა საყურადღებოდ

მცირე შენიშვნა.

წელს ბ-ნმა ი. კარგარეთელმა რამდენიმე ხალხური ლექსი დაბეჭდა „დროება“-ში და ეხლაც იბეჭდება დიდი პოემა „ჭრული ბერას ომი ქისტებთან“. ვინც ეს ლექსები წაიკითხა, და მეც იმათთან ერთად, ეჭვი დაგვებადა ამათ ხალხურობაზე და პირადადაც გამოუცხადე იას ეს ჩემი აზრი. ამას მაფიქრებდა ამ პოემის შინაარსი და ფორმა, აგრეთვე შიგ ნახმარი სიტყვები. ბ-ნმა კარგარეთელმა დამარწმუნა, ნამდვილი ხალხურიაო, მაგრამ საქმე იმაშია, რას უნდა დავუძახოთ ხალხური? ის ლექსები, რომელიც ხალხშია გავრცელებული და ხალხი მღერის, ისე რომ არც იცის და არცა კითხულობს იმის მთქმელს, იმ პოეტს, რომელმაც მართლა მარტოკამ შექმნა, მაგრამ ბოლოს ხალხის საკუთრებად გახდა ლექსი, ხალხმა გაალამაზა, საამო მოსასმენი გახადა და ადვილად დასახსომებელი? თუ ის ლექსები და პოემები, რომელიც ხალხის ენით არის დაწერილი, და სადაც ხალხის რწმენა, მისწრაფება და ჭირ-ვარამია ჩაქსოვილი, მაგრამ ჯერ კი ხალხის საკუთრებად არ გამხდარა, ჯერ ისევ წიგნებსა და რვეულებშია დატუსაღებული და ხალხმა იმათ არსებობაზე არა იცის-რა?

პირველის მაგალითად შემიძლიან დავასახელო, დაბეჭდილი და დაუბეჭდავი, შეკრეფილი და ჯერ ისევ შეუკრეფელი აურებელი პოეტური ნაწარმოები ჩვენი ერისა, თუ ლექს-პოემები, და თუ ზღაპარ-ლეგენდები და ანდაზა-გამოცანები. აი თუნდა ერთი მაგალითი. ი. ჭავჭავაძემ საგურამოში ერთი ფშავლის დედაკაცისაგან ჩაწერა ერთი ხალხური სატრფიალო ლექსი „ვერცხლის თასადმც მაქცია, რომ ღვინით აგევსებოდიო“... ამავე ლექსის ვარიანტი აქვს ჩაწერილი დ. ხიზანაშვილს თავის „ფშაურ ლექსებში“. ამავე ლექსის საუკეთესო ვარიანტი მაქვს მოქცეული მეც ჩემს დაუბეჭდავ კრებულში, სადაც შეგროვილი მაქვს 3,000 ლექსზე მეტი. ამ ლექსს ჩვენი პოეტი დიდებულად და შედევრად სთვლიდა. ახლა ვიკითხოთ, ვინ შექმნა ეს ლექსი? შეიყარა ერთად რამდენიმე კაცი, თუ ერთმა სთქვა თავისი გულის ნადები და მერე გავრცელდა ხალხში და ხალხმა გაალამაზა და გაამშვენიერა? რასაკვირველია, ერთი იტყოდა და სხვა, რომელსაც იგეთივე ცეცხლი უტრიალებდა გულში და იგივე სურვილი სწვავდა, ადვილად დაისწავლიდა და, როგორც თავის საკუთარ ნაწარმოებს, ისე იმღერებდა, თუ მარტოკა და თუ დღეობაში ტოლ-ამხანაგებში ჩამჯდარი, სადაც ახლა სხვა გაიგონებდა და დაიხსომებდა. არა კითხულობდნენ ესენი, ვინ იყო ამისი მთქმელი და ასეთ ძვირფას მარგალიტებად ჩამომსხმელი. თუმცა იყვნენ მახლობელნი და თანამედროვენი იმ მოლექსისა, რომელმაც ეს ლექსი შეჰქმნა, სახელიც იცოდნენ და ეხლაც იციან და გარემოებაც დაწერისა. ეს ლექსი, მაგალითად, ნათქვამია სამეკათ ხვარამზისა, დედი ჩემის ტოლისა და დობილისა, ამას უყვარდა პლატონიურად ერთი გაბიდაური ვაჟა (დაწვრილებით ჩემ კრებულში მაქვს მოყვანილი) იმდენად ძრიელი იყო ეს სიყვარული, რომ როცა ამ გაბიდაურმა იმის სახლის გვერდზე ცხენით აიარა, ხვარამზემ, რომ ცხენის ნაჩლიქარები არ შეშლილიყო, შეღობა და მალ-მალ ნახავდა ხოლმე. იქნება საცინელი იყოს ეს, მაგრამ ახლა იმისთვის გეკითხეთ? ამავე ქალს ეკუთვნის რამდენიმე სხვა შესანიშნავი ლექსიც, სადაც ზოგან ბოლოში თავის სახელს აცხადებს. რასაკვირველია, ეხლა ამ 60 წლის წინად დაწერილ ლექსის ავქსონი აღარავის ახსოვს, მაგრამ ხომ იყვნენ ისეთი პირები, რომელნიც იცნობდნენ ამ ქალს? ასევეა ბევრი ლექსი, რომელთა ავტორებიც ჯერ ისევ ახსოვს ხალხს. ახსოვს ხალხს, მაგალითად, უტური, მერცხალა, ჯაბანი და ყველა ამათი მამათ-მთავარი პარასკევა—ვაჟა-ფშაველას პაპა დედით.

თუ პატარა ლექსებისა და შაირების მთქმელის გამოსაცნობად თავს არავინ იცხელებდა, დიდი სიმღერებისა და ფერხისას მთქმელები (პოემების და რუსების „ბილინების“) თვითონვე სცდილობდნენ არ დაკარგულიყო მათი სახელი და რადგან ნამდვილად მომხდარ და ნამდვილ პირების გმირობას შეაქებდნენ, ამიტომ წესად იყო მთაში მიღებული, მუდამ ავქსონის სახელით თავდებოდა ლექსი, სადაც ან ცხვარს სთხოვდა სალექსოში, ან ნადავლ თოფს, ხანჯალს, ნაბადს, ან სხვა რამე ნივთს, და ეს პოემის გმირიც მოვალე იყო ესრულებინა ეს მამაპაპათაგან დადებული ადათი და წესი.

მეორე მაგალითის ნიმუშად შეიძლება მოვიყვანო პირდაპირ ლიტერატურული ნაწარმოებნი ვაჟა-ფშაველასი, მისი პოემები: „გოგოთური და აფშინა“, „გველის მჭამელი“ და „სტუმარ-მასპინძელი“, ნამდვილ ხალხის გენიოსობით შექმნილი ლეგენდები და პოეტის მიერ შემუშავებული, ახლა ვიკითხოთ, რამდენი ხანი და დრო უნდა გავიდეს, რომ ეს პოემები ხალხმა ზეპირად დაისწავლოს, ამათი ავქსონი დაივიწყოს, თავის გუნებაზე გადააკეთოს და ისე მღეროდეს, როგორც „ხალხურს“? მგონი არც ასი წელიწადი უნდა ეყმაროს. ჩვენა გვაქვს ხალხური „ვეფხვის ტყაოსანი“, „ამირან დარეჯანის ძის“ ამბავი, „ბეჟანიანი“, „როსტომიანი“, „ეთერიანი“—სულ ხალხში ლექსად და ამბად გავრცელებული და აბა შევადაროთ—ჰგვანან ესენი დედნებს თუ არა? ამოდენა პოემები შეუძლებელია სრულიად დაიხსომოს ხალხმა და თავისებურად არ გადააკეთოს.

ამ მოსაზრებით მე შეუძლებლად მიმაჩნია „ჭრული ბერას ომი ქისტებთან“ პირველ ჯურის ნაწარმოებად ჩაითვალოს, რადგან მეტად დიდი პოემაა და რადგან ნამდვილად მთიელი კაცის შეთხზულია, ბოლოში თავის სახელს გამოაცხადებდა. ამიტომ საჭიროა, როცა ამოდენა პოემას ჩასწერს ვინმე, აღნიშნოს დრო ჩაწერისა და კაცის სახელი და გვარი, ვინც ასწავლა. ამ კაცს უნდა ეკითხოს, ვისგან გაიგონა, ზეპირად გაგონილი დაიხსომა, თუ წიგნში წაიკითხა სადმე ან რვეულში.

მეცხრამეტე საუკუნის მე-20 წლებში სერბიულ ენაზე გამოვიდა კრებული დასავლეთელ სლავიანების სიმღერებისა, რომლებიც „ხალხურად“ იყო გამოცხადებული. ლექსებმა დიდი ფურორი მოახდინეს და თითქმის ყველა ევროპიულ ენაზე გადათარგმნეს. პუშკინმაც გადათაგრმნა, მაგ., „Что ты ржешь, мой конь ретивый?“ ბოლოს აღმოჩნდა, რომ ეს ლექსები სულ ერთ პირს ეკუთვნოდა და განგებ იყო „ხალხურად“ გამოცხადებული. რასაკვირველია, ამით ლექსებმა ღირსება არ დაჰკარგეს, მაგრამ ხალხურად კი აღარ ჩაითვლებოდნენ. მესმის ზოგიერთის სურვილი, რომ თავის ქვეყანას და ერს მეტი სახელი და დიდება შესძინოს, თუნდა იმით, რომ თავისი ან სხვის პოეტური ნაწარმოებნი „ხალხურად“ გამოაცხადოს, მაგრამ როცა ეს სხვებს საეჭვოდ დაურჩებათ, ისა სჯობია კერძო პირის სახელი გამოჩნდეს.

„ჭრული ბერას“ საშინლად ეტყობა ჯერ „ვეფხვის ტყაოსნის“ გავლენა და მერე ვაჟა-ფშაველასი. ხშირად ერთ კილოს მეორე სცვლის, ცეზურაც სტყუნობს, ხალხის ყურს კი მეტად ეხამუშება ეს გარემოება.

ყველა ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ი. კარგარეთელის შრომა დავამცირო. პირიქით, საპატიო და სასახელოა, როდესაც კაცი ამდენსა სცდილობს ქვეყნისთვის. მადლობის მეტია რა გვეთქმის-რა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამდენი ხელით, ფეხით, ჯანით სრული, ამდენი უმაღლეს სწავლა დამთავრებული არას აკეთებს!

ამ ზამთარს ერთი გოსტიბელი გლეხი მოვიდა ჩემთან და თან მოიტანა თავის ლექსების რვეული. ერთი ლექსი ამ რვეულიდან „ფასკუნჯ“-შიაც დაიბეჭდა: „ლომი და ვეფხვი შაბმულან, გამწარებულნი იბრძვიან, მათშიც ცეცხლი ანთია, შიგ გლეხი-კაცნი იწვიან“.. და სხ. რვეულში რამდენიმე ერთობის შესახები ლექსიც იყო. გლეხი დამპირდა, გაზაფხულს კიდევ გადმოუვალ და ჩემ სხვა ლექსებსა და პოემებსაც გადმოგიტანთო. იმისმა ამხანაგებმა სთქვეს, ძალიან ბევრი აქვს ნაწერი და წიგნებსა და გაზეთებსაც კითხულობსო. ისე თავისუფლად მელაპარაკებოდა ჩვენ პოეტებზე, ყური დაგეგდო, კარგი ქართულის მცოდნე ინტელიგენტი გეგონებოდა. მე ვთხოვე, დარჩენილიყო ჩემთან რამდენიმე ხანს, მაგრამ ამხანაგებმა არ უყვეს გვეჩქარებაო და კვლავ საზაფხულოდ დამპირდა გადმოსვლას. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ცოტა ხანში გავიგე (არ ვიცი, რამდენად მართალია), რომ ეს ბიჭი მოუკლავთ ერთი თვის წინად ტყეში (ტყის ყარაული იყო). ფსევდონიმად ივანე მთიშვილს (მთიულს) აწერდა და გვარი და სახელი კი იმისი ივანე პეტრეს ძე წიკლაურია, გუდამაყრელი. დიდად ნიჭიერ კაცს ამბობდნენ და განთქმულ მოლექსეს. ძალიან შესაძლებელია სოფლად ვინმემ დაისწავლა მისი ლექსი, გადასცა ია კარგარეთელს და ავტორის შესახებ კი არაფერი აც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწერილი ამბები

ხონი. კვირას, 21 ივნისს უნდა წარმოედგინათ „პატარა კახი“. ყველა აქტიორები ელოდა წარმოდგენის დაწყებას. როდესაც მოაწყვეს სცენა და ყველაფერი დაამზადეს წარმოდგენისთვის, მოვიდა ბოქაული და გამოაცხადა, რომ წარმოდგენის გამართვა არ შეიძლებაო. ბოქაულს ქუთაისის მაზრის უფროსისაგან დეპეშა მიუღია, რომ თეატრი დახურეთ და იმასაც აღასრულა ბრძანება. ამ ამბავმა ყველა გააკვირვა. დანამდვილებით დახურვის მიზეზი ჯერ არავინ იცის, ამბობენ, როდესაც მაზრის უფროსმა გაზეთის საშუალებით თუ ისე შეიტყო თეატრის შეკეთება, განიზრახა მთავრობის კომისიას შეემოწმებინა, რამდენად მკვიდრია შენობაო. სასურველია. რაც შეიძლება, ჩქარა გამოირკვეს საქმე. თუ მართლა თეატრი იმიტომაა დახურული, რომ კომისიას უნდა შეემოწმებინა, იმ შემთხვევაში უნდა ითხოვონ, მალე დანიშნონ კომისია. 28 ივნისს უნდა „მეზობლები“ წარმოედგინათ. თუ საქმე 28 მდის დამთავრდა, 28 ივნისს „პატარა კახს“ დასდგამენ და შემდეგ კვირას „მეზობლებს“.

კვირას, 28 ივნისს, ადგილობრივ ბაღში გამართება სახალხო სეირნობა ლატარეია-ალეგრით წ.-კ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების სასარგებლოდ. სასურველია, საზოგადოება მრავლად დაესწროს და მით ხელი შეუწყოს განყოფილების გაძლიერებას.

პარკის ყიდვა-გაყიდვაა. ეხლა პარკს ყიდულობენ, თუ კარგია, 16 მან. 50 კაპ. ნაკლები ხარისხისას კი 16 მანეთად, ხან ნაკლებადაც.

სიმინდის მოსავალს კარგი პირი უჩანს. ადგილობრივ ბაზარში ფუთი სიმინდის ფქვილი იყიდება 1 მან. 20 კაპ., სიმინდი კი 1 მ. და ხან 90 კ.

კარგი იქნება, ადგილობრივი ადმინისტრაცია შეამოწმებდეს პარკის მოვაჭრეების სასწორებს. ერთმა ვაჭარმა უთხრა პარკის პატრონს, თუ საზოგადო სასწორზე არ ასწონით, 17 მანეთს მოგცემთ, თუ ასწონით 16 მანეთსაო.

ხონის მოკეთე.

—

ს. ერკეთი (გურია). ორშაბათობით საზოგადოების შეკრება სასამართლოზე ჩვეულებად გადაგვექცა: დღეს ორასამდე მუშა იყო სასამართლოზე თავმოყრილი და აქვე დააღამეს. ამის მიზეზად მამასახლისის უმოქმედება უნდა ჩაითვალოს: კვირას ბოქაულმა გამოგზავნა კაცი, რომელმაც გააცნო დამსწრე საზოგადოებას გუბერნატორის მოთხოვნილება გადასახადების შესახებ: სოფლელთ ვადა მიეცათ ერთი კვირა, რომ გაასწორონ ყოველ გვარი ანგარიშები. ბოქაულის მოციქულმა წინადადება მისცა მამასახლისს ეკისრნა ფულის მოგროვება, და საზოგადოების ხსნა ეკზეკუციისაგან. მაგრამ პასუხად უარი მიიღო: უეკზეკუციოდ არ შეიძლებაო. 22 ივნისს მოვა ბოქაული სამი დრაგუნით და სასტიკ ზომების მიღებას დაემუქრა საზოგადოებას ფულის მოსაგროვებლად. ასე სცდება და მწარდება ხალხი მახლე პირების უმოქმედებისა გამო.

აქ არსებობს ბანქოსანთა გუნდი, შემდგარი ხუთიოდ ბრწყინვალე წოდების პირთაგან. ბანქოს თამაში ერთად-ერთი სადსარი გახლავდ მათის ცხოვრებისა. ისინი ათრევენ თამაშში პატიოსანთ და გულ-უბრყვილო მუშაკთ, ატყუვებენ და აცდენენ. ამ ივნისის პაპანაქება დღებს აღამებენ თამაშში და, ვინ იცის, რამდენ უსინდისობას სჩადიან ეს ვაჟბატონები, ამას წინად ერთ მათგანს განუზრახავს. თურმე გოჭი მიერთმია ამხანაგთათვის. ბანქოსანი გამგზავრებულა საღამოთი კობიძის ქვრივის სალომეს საღორისაკენ, სადაც დედა ღორთან ერთად უნახავს ერთად-ერთი გოჭი. ბანქოსანი ისე გაოცებულიყო გოჭის სიმსუქნე-სილამაზით, რომ ტუჩზე ხელის მოჭერაც-კი დავიწყნოდა და გოჭის ჭყვირილზე სალომეს მურია მივარდნოდა. ძაღლის ყეფაზე სალომეც თავზე დასდგომოდა. ბანქოსანს გოჭი გაუშვია და ქვრივს რევოლვერით დამუქრებოდა, თუ ის გამოაცხადებდა მის ვინაობას. ამნაირად ბანქოსანმა თავის მიზანს ვერ მიაღწია, ვერ გაუმასპინძლდა ტოლ-ამხანაგთ.

ვახ!

სპარსეთის ამბები

ტყუილი გამარჯვება.

გუშინ „პეტერბ. დეპეშ.-თა სააგენტომ“ მთელ ქვეყნიერობას შეატყობინა, რომ შაჰის ყაზახებმა შაჰაბადთან დაამარცხეს და გააქციეს რევოლიუციონერებიო. როგორც გაზ. „ბაქუ“-ს ატყობინებენ თეირანიდან, ეს ტყუილი გამარჯვება ყოფილა.

შაჰის ყაზახთა ბრიგადას ვითომდა გამარჯვება, რომლის ამბავი საჩქაროდ აცნობეს ქვეყნიერობას „პეტ. სააგენტომ“ და ინგლისურმა ოფიციოზებმა, ნამდვილად ამნაირი იყო:

კაზვინელ რევოლიუციონერების მეთაურმა სეპეხდარმა, კერეჯი რომ აიღო, თავისი რაზმი იქ დააბანაკა და განკარგულება მოახდინა, რომ შაჰის ჯარს არავინ შებრძოლებოდა. მაგრამ ღამით, სეპეხდარის დაუკითხავად, 35 რევოლიუციონერი პატარა ზარბაზნით წინ გაემართა და შაეხეთქა შაჰის ყაზახთა მთელს რაზმს, რომელმაც ზარბაზნები და ტყვიის მტყორცნელები დაუშინა რევოლიუციონერებს. სეპეხდარმა, გაბრაზებული ამ რევოლიუციონერების ურჩობით, მაშველი ჯარი არ გაუგზავნა მათ. პატარა რაზმს ყაზახებმა ერთი ზარბაზანი წაართვეს, 2 კაცი მოუკლეს და 3 დაატყვევეს. ერთი ტყვე რევოლიუციონერი შაჰის ყაზახებმა თურმე ასჩეხეს ხმლებით, წყალში გადააგდეს და მის გვამსაც-კი თოფის სროლა დაუწყეს.“

ამას გარდა თითონ „პეტ. სააგენტოს“ დეპეშებიდანაც ცხადად სჩანდა, რომ შაჰის ყაზახების გამარჯვება ძლიერ გაზვიადებული იყო: რევოლიუციონერები რომ ნამდვილად დამარცხებულიყვნენ, მათთან მოლაპარაკებას აღარ გამართავდნენ რუსეთისა და ინგლისის ელჩები.

რევოლიუციონერების გამარჯვება.

„პეტ. დეპ. სააგენტო“ გუშინ არწმუნებოდა ვითომ შაჰის ყაზახებმა ტაქტიკურის მოსაზრებით თითონ, უბრძოლველად დასტოვეს კერეჯის ხიდის მნიშვნელოვანი პოზიცია და შაჰაბადში გადავიდნენო. ამით სააგენტო უარჰყოფდა ბრძოლას კერეჯის ხიდთან და რევოლიუციონერების გამარჯვებას. ხოლო „ტიფ. ლისტოკ“-ის კორესპონდენტი-კი ხელ-მეორედ ასწერს ამ ბრძოლას და რევოლიუციონერების გამარჯვებას:

„პირველი შეტაკება რევოლიუციონერებისა შაჰის ჯართან, კერეჯის ხიდს ახლო, როგორც ეხლა გამოირკვა, რევოლიუციონერების გამარჯვებით გათავებულა. ხიდის დამცველმა ყაზახებმა თურმე რევოლიუციონერების იერიშზე გაცილებით ადრე ღამით შეცდომით სროლა ასტეხეს: მზვერავებს მოსჩვენებოდით, ვითომ რევოლიუციონერები ხიდს ეპარებიანო. ხოლო 21 ივნისს გათენების ხანს სროლა შესწყვიტეს. სწორედ ამ დროს გაჩნდნენ რევოლიუციონერები; მათ მედგარი იერიში მიიტანეს ხიდის დამცველებზე და თან ზარბაზანი დაუშინეს მათ. თუმცა ყაზახები ძლიერ მარჯვე პოზიციებზე იყვნენ ჩასაფრებულნი და იქიდან ისროდნენ თოფს, მაგრამ რევოლიუციონერები გაქანდნენ ხიდისკენ და მისი ორი მხარე დაიჭირეს. სპარსელი ყაზახები გაიქცნენ. რევოლიუციონერების რაზმებმა ცოტა ხანს შეისვენეს, მოკლულებს და დაჭრილებს მოუარეს და შემდეგ სხვა და სხვა გზით გაემართნენ თეირანისაკენ.

ყაზახთა ბრიგადამ ხიდი დასცალა. მისმა ერთმა ნაწილმა 15 ვერსტი გაიარა და ერთ ადგილას ღამის გასათევად შესდგა. მაგრამ ღამე უცებ გაისმა თოფის სროლა; ჯერ კანტი-კუნტად ისროდნენ, მერე ყველანი ერთბაშად, ბოლოს ზარბაზნებმაც დაიქუხეს. მხოლოდ გათენების ხანს გამოირკვა, რომ მთელი ეს სროლა შეცდომით აუტეხიათ: მზვერავებს კიდევ მოსჩვენებოდა, ვითომ რევოლიუციონერები ეპარებიან ბანაკსაო“..

მოლაპარაკება სარდალ-ასადთან და სეპეხდართან.

რევოლიუციონერებმა რომ კერეჯის ხიდი აიღეს, რუსეთის საელჩოს წევრი ბარანოვსკი და ინგლისის საელჩოსი—მაიორი სტოქსი ხელახლად წავიდნენ სარდალ-ასადისა და სეპეხდარის ბანაკში. მათ ძლივს იპოვეს ბახტიარების რაზმი და მისი მეთაური სარდალ-ასადი. იქვე სარდალ-ასადთან მათ დახვდათ შაჰის მომხრე ბახტიარების უფროსიც, რომელიც წინა დღეს გაგზავნეს რევოლიუციონერების წინააღმდეგ. ეს უფროსი თურმე მთელის თავის რაზმით თოფის დაუცლელად სარდალ-ასადის მხარეს გადასულიყო.

ბარანოვსკისა და სტოკსის მოლაპარაკება სარდალ-ასადთან მეტად მალე გათავებულიყო. საელჩოთა წარმომადგენლები არწმუნებდნენ ბახტიარების მეთაურს: თქვენი გალაშქრება თეირანზე მეტად საშიშია, შეიძლება თეირანში დიდი არეულობა მოხდეს, თან დაემუქრნენ, თუ გალაშქრებას არ დაიშლით, რუსეთი და ინგლისი ჩაერევიან საქმეშიო. მაგრამ სარდალ-ასადმა არაფრად ჩააგდო მათი რჩევა და მუქარა და მოკლედ მოუჭრა სიტყვა: მივდივარ თეირანსა და სარდალაბადზეო, შაჰი უნდა ჩავიგდო ხელშიო (შაჰი სარდალაბადში იმყოფება ამ ჟამად).

სეპეხდარი დაჰპირდა, სისხლის ღვრას შევაჩერებთ, თუ უცხოელთა ჯარი სპარსეთიდან გავა და შაჰი ენჯუმენების ყველა მოთხოვნას შეასრულებსო. საელჩოებს 23 ივნისს უნდა მიეცათ პასუხი სეპეხდარისთვის, მანამდის კი დროებითი შერიგება მოახდინეს რევოლიუციონერებმა და შაჰის ჯარმა.

კაზვინელ რევოლიუციონერების იმედი.

კაზვინელ რევოლიუციონერებს იმედი აქვთ, რომ შაჰი ვერას გახდება მათთან. ისინი ამბობენ: „გინდ ჩვენი რაზმები, ახალ იარაღისა და სამხედრო მასალის უქონლობისა და გაუწრთვნელობისა გამო, დამარცხდნენ თეირანთან და გაიფანტნენ,— შაჰი მაინც ვერას მოიგებსო. შაჰს არას დროს არ შეუძლიან იერიშის მიტანა რეშტზე, რადგან მთელი გზა თეირანიდან რეშტამდე გამაგრებულია და მნიშვნელოვან ადგილებში ყველგან ძლიერი რაზმები გვყავს ჩაყენებულიო. ასე რომ, გინდ შაჰმა ძალზე დაამარცხოს რევოლიუციონერები, მისი გავლენა და ძალა მაინც არ გასცილდება თეირანს. ჩვენ კი ხელმეორედ მოვემზადებით და ახალ იერიშს მივიტანთ თეირანზეო“...

ზილი-სალთანე.

შაჰი ბიძას ზილი-სალთანეს სპარსეთში მოელიან. ამბობენ, რომ ბახტიარები მას გამოაცხადებენ შაჰადო.

თათბირი პეტერბურგში.

„კასპი“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: „კავკასიის ნამესტნიკის პეტერბურგში მოსვლის უმალ, გაიმართება თათბირი სპარსეთის საქმეების შესახებ“.

კრიტოსის საქმე

საბერძნეთის სამხედრო მზადება.

ამბობენ, ამ დღეებში ოსმალეთის მთავრობა შეატყობინებს სახელმწიფოებს, რომ საბერძნეთიდან დიდძალი იარაღი და სამხედრო მასალა გაგზავნეს კრიტოსზეო. ოსმალეთის მთავრობის აზრით, ეს სულ საბერძნეთის მთავრობის საქმეა. აივალიკში, მაკედონიაში, ოსმალებმა კიდევ უპოვეს იარაღი ბერძნებს.

ოსმალეთიდან ბევრი ბერძენი მიდის საბერძნეთის ჯარში შესასვლელად.

ბერძნები აცხადებენ, რომ ისინი არაფერს არ შეუშინდებიან და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ. მთელს საბერძნეთში ფულსა ჰკრეფენ აჯანყების მოსაწყობად. ყველაზე მეტს სწირვენ საზღვარ-გარეთ მცხოვრები ბერძნები.

ოსმალეთი

ალბანელთა დამშვიდება.

სტამბოლის სამხედრო წრეებს ძლიერ მოსწონთ ჯევად-ფაშის მარჯვე მოქმედება ალბანიაში. ის ხმა, ვითომ ჯევად-ფაშა ერთ ადგილას დაამარცხეს ალბანელებმაო, ცოცხალი ტყუილი გამოდგა. ჯევად-ფაშას ალბანიაში დაუნგრევია 150 ძალზე გამაგრებული კოშკი. იპეკსა, პრიზრენსა, დიაკოვოსა და სხვა ქალაქებში მას უკვე დაუსრულებია ალბანელთა აღწერა. ალბანია ამ ჟამად იმდენადაა დამშვიდებული, რომ [illegible] იქ მოაგროვებენ ჯარისკაცებს.

როგორც ირკვევა, ჯევად-ფაშას უფრო თავის რაინდობით დაუმორჩილება ალბანელები, ვიდრე იარაღის ძალით.

ამ ჟამად ალბანელთა 80 პროცენტი მას უჭერს თურმე მხარსა. გამაგრებულს კოშკების აღების წინად, იგი მუდამ გამოიყვანდა ხოლმე იქიდან ბავშვებს, ქალებს და ბერიკაცებს, მერე ზრდილობიანად წინადადებას აძლევდა ალბანელ მეომრებს: პირველად თქვენ გვესროლეთო. ასეთმა კეთილშობილურმა რაინდობამ გასჭრა და ალბანელებმა თითქმის ყველგან მორჩილება გამოუცხადეს და იარაღი ჩააბარეს ჯევად-ფაშას.

ამ უსი[illegible] ჯევად-ფაშ[illegible] და და [illegible] ალბანელთა მეთაურები შეკრიბა, არავინ არ დასაჯა, მხოლოდ დაუმტკიცა, რომ გადასახადებისა და ჯარის-კაცების მიცემა აუცილებლად საჭიროაო. ალბანელებიც დაჰპირდნენ, ამას იქით რიგზე შევასრულებთ ჩვენს მოვალეობასო.

„დაშნაკცუთუნის“ განცხადება.

„დაშნაკცუთუნის“ პარტიის კომიტეტმა სტამბოლში უარჰყო ვილაცის მიერ გავრცელებული ხმა, ვითომ სომხებს არეულობის მოხდენა ჰსურდეთ სტამბოლში.

რეაქციონერების დაბრუნება.

სტამბოლში თან და თან ბრუნდებიან ის რეაქციონერები, რომლებიც წარსულ აპრილს როდესაც ახალგაზდა ოსმალთა ჯარმა სტამბოლი აიღო, სხვა ქვეყნებში გაიქცნენ.

რუსეთი

◆ **მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები.** „კასპს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: სატუსაღოების მთავარმა მართველობამ ბრძანება გასცა, მეორე სახელმწიფო სათათბიროს დაპატიმრებულ დეპუტატებს ისე მოექეცით, როგორც კატორღელებსო.

◆ **ტყუილი გამოდგა.** ჩვენ ცნობა გვქონდა, რომ ადმინისტრაციის განკარგულებით შავრაზმელ გაზეთ „რუსკოე ზნამიას“ რედაქტორი დუბროვინი 3,000 მანეთით დააჯარიმესო. ეს ცნობა ტყუილი გამოდგა, დუბროვინი არავის არ დაუჯარიმებია.

◆ **პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში.** „რუსკ. ვედომ.“-ის სიტყვით რკინის გზის ინჟინერთა ინსტიტუტში 20 ივნისამდის თხოვნა შეუტანია 350 კაცს, (160 ვაკანსიაა), სამთო ინსტიტუტში 300 კაცს (171 ვაკანსიაა), ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში 250 (260 ვაკანსიაა), ქალთა უმაღლეს კურსებზე 1,200 ქალს (1500 ვაკანსიაა).

◆ **ეპისკოპოს ნიკონის პროექტი.** ეპისკოპოს ნიკონმა, ინიციატორმა სრულიად რუსეთის ერთა წარმომადგენლების კრებისა, შეიმუშავა პროექტი, რომლითაც სასულიერო აკადემია გათავებულები სანამდის ბერად შევიდოდნენ, უნდა გამოიცადნენ, შეუძლიანთ ბერობა თუ არა. ეპისკოპოსი სწერს: ეხლანდელი მსწავლული ბერები ყველაფერს აკეთებენ, ყოველნაირ თანამდებობას ასრულებენ, მაგრამ რაც შეეხება მონასტერში ცხოვრებას, ამას კი მოკლებულნი არიან. იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ბერობას იღებენ, შემდეგი წესები უნდა დაწესდეს: 1) სანამ სტუდენტი აკადემიას არ გაათავებს, მას ნება არ უნდა ჰქონდეს ბერად შევიდეს; 2) აკადემიის გათავების შემდეგ მას წინადადება უნდა მიეცეს ერთი წლით მონასტერში წავიდეს და იქ იცხოვროს. აქ გამოირკვევა, თუ რამდენად აქვს მიდრეკილება ღვთის მსახურებისადმი; 3) როდესაც აკადემია გათავებული ბერად აღიკვეცება, მან ერთი წელიწადი კიდევ უნდა გაატაროს მონასტერში. ამას გარდა ის სტუდენტი, რომელიც აკადემიაშივე განაცხადებს სურვილს ბერად აღიკვეცოს, მოვალეა ბერის ტანისამოსი ატაროს და საშობაო და სააღდგომო კანიკულების დროს მონასტერში უნდა წავიდეს. ეპისკოპოსის აზრით ამის შემდეგ გამოირკვევა რად მიდის სტუდენტი ბერად, კარიერის გულისთვის, თუ ღვთის სამსახურისთვის. პროექტის ავტორი ახასიათებს ეხლანდელ მსწავლულ ბერებს და იმ დასკვნამდის მიდის, რომ მათი უმეტესობა ძალიან შორს არის ღვთის მსახურებისაგანო.

◆ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვს: კიევში 1, ვარშავაში 4, მოსკოვში 2, ხარკოვში 4, პეტერბურგში 1, ოდესაში 2, რიგაში 1, სამარაში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ხარკოვში 3, ბაქოში 2, პეტერბურგში 1, მოგილევში 2, ოდესაში 1 კაცი.

◆ **წესრიგის დამცველნი.** ამ რამდენიმე ხნის წინედ ჩელიაბინსკში სამსახურიდან დაითხოვეს მაზრის უფროსის თანაშემწე ტკაჩენკო და ბოქაული კლიშჩოვი. ამათ ბრალდებოდათ, და კიდევაც დამტკიცდა, სხვა-და-სხვა ბოროტმოქმედების ჩადენა და მათ შორის ქურდების ბრბოს ხელის შეწყობა. გაზეთების სიტყვით ესენი ხელმეორედ მიუღიათ სამსახურში!

◆ **გაზეთების დაკეტვა.** „ბაკუს“ დონის-როსტოვიდან დეპეშით ატყობინებენ: „ადმინისტრაციის განკარგულებით დაიკეტა გაზეთები: „იუჟნი ტელეგრაფი“ და „იუჟნი ვესტნიკ“. მიზეზი ის არის, რომ ამ გაზეთებში დაიბეჭდა წერილები, რომლებშიაც ქალაქის თვით-მართველობის ხმოსნების ამომრჩევლებს ჰკიცხავდნენ, სომეხი კანდიდატები რათ გააშავეთო.

◆ **მონასტერთა და ბერების რიცხვი**

ნობა. შეიძლება, მაგალითად, „ჰრუდი ბერას ომიც“ იმისი ნაწერი იყოს. ამით ჩვენი ხალხის გენიოსობას სრულებით არა დაჰკლებია-რა, პირიქით ერთი სახალხო პოეტის სახელი მიემატება ჩვენს სახალხო მგოსნების ჯგუფს. ეს კაცი კი რომ ნიჭიერია, ჩემთან დატოვებულ ლექსებიდანაც სჩანს. მოვიყვან აქ რამდენიმე იმის ლექსს.

⁂

ქებულ-დიდებულ დროებავ,
რა ხილი დაგვაძლევინე,
ზოგს აატკიე თავ-შუბლი,
ზოგს ფეხიც გააქნევინე!
მწიგნობარს კალმის კუდათა
პირს ქარი გააშლევინე,
ზოგთ ათასი თქვეს სიცრუე,
ზოგს ერთიც ვერ ათქმევინე,
თუ ერთი თქვან და მართალი,
ჩამოფქონ, დააყრევინე!
ზოგი ათასკოდს ქერსა ფქვავს,
ორი ათასსა შვრიასა,
თავის მუცლისთვის ამზადებს
მისგან ლუდს, ანუ „პივოსა“,
აღარ სჯერდება ცოტასა,
რაკი კარს ხედავს ღიასა.
ერთი ჩანახი ხორბალი
მოუტანია ძიასა
ნუ უშლით, ერთ წ-მს ჩამოფქვავს,
ბალღებს უმბობენ მშიარსა.

⁂

შვილის შვილი ჩამაცივდა:
„ძალით გაცხონებ, ბებია!“
— არ მინდა შენი ცხონება,
დამეხსენ! ვეუბნებია:
„ძველსა ამაცდენ ჯოჯოხეთს,
ახალში ჩავვარდებია,
წაწყმენდილს უფრო წამწყმედავ,
შენც ტვირთად ამედებია,
იმასაც დამაკარგვინებ,
რაც სინანულით მრგებია!“
ახალი პირი ძველზედა
ხუთ წილად უარესია,
ძველი მშვიდდება ლეკური
ასი წლის განალესია.
ფრანგული ახალ პირული
ვითომ პირ უმართლესია?
პირტკბილად გამომცინარი
გულ საიდუმლოთ სავსეა.
ორგულზე არის მქნელი,
ერთგულზე მკრელი მასვია...

⁂

მიკვირს და გამკვირებია,
რას მოვესწარი ამასა.
კეფაში პატარა ქუდი
მიუკრავ ნათლიმამასა,
შუა თავს უხეთქს სიცივე,
ცინგლი უშვრება ძალასა.
წინ გაუშვია ქოჩორი,
სულ მთლად თვალებსა ჰფარავსა.
„თავისუფლებას ვეძებო“,
ვხედავ—უშვრება ზარალსა.
თავისუფლება ის არის,
თავი ქუდს უნდა ებაროს,
იცავდეს სიცივისაგან,
რაც შიგნივ ნივთი ეყაროს,
არც თვალებს ძუა-ფაფარი
დასაბნელებლად ეფაროს,
ჰხედავდეს მზისა სინათლეს,
გულს მხედველობით ეხაროს,
განა თუ ძალად დაბრმავდეს,
მივიდეს, კედელს ეხალოს!

⁂

დაგვპირდნენ ორატორები
ხალხთან მე და ბიჭს გიგასა;
„ცხოვრებას გაგიადვილებთ,
ფართალ-ფურთალის ყიდვასა,
უფასოდ შეგაძენინებთ
ტყეს, ველს და სახნავ მიწასა,
ერთის ალაგას კაპიკად
ორს გაყიდვინებთ სპიჩკასა!
ყველაზე მეტად გვიამა
მე და გარგალელ ყინწასა:
ორ კვირას მოვიმსახურებთ
ერთი კაპიკის სპიჩკასა,
დავმართავთ ყალიონებსა,
ცეცხლს მოუკიდებთ იმ წამსა.
ყალივნის დანაბოლებზე
გარგალელ ყინწა ჰფიცავსა:
მოვწევ და მოვიხსენიებ
მა კაცის მამა-ბიძასა.
— კარგს ბრძანებ, ჩემო ყინწორი,
შენამც დამაყრი მიწასა,
სიკეთეს სიკეთე უნდა,
რა შნო აქვს ვალის ზიდვასა!
ორატორმაც გაათავა,
გვიბძანა, კრება დაშალეთ.
გავიშალ-გამოვიშალნეთ,
ერთურთი ლოცვით გავყარეთ.
ჩვენ სასიქადულო პირსაც
დიდი მადლობა ვატანეთ.
მისგანა დანაპირველთა
შინაურებიც ვახარეთ,
იმ ღამეს მე და ყინწამა
ხორცის ხინკალი ჩავყარეთ,
არაყით შექეიფებულთ
თამაშით კერა დავთხარეთ,
გავუსვით ფშაურ სიმღერას,
სულ მთლად ჭერები ავყარეთ,
ჩვენს მღერას ვინლა ჩიოდა,
კატებიც კიდევ ვაჩხავლეთ.
სავაჭროს გაიაფებას
სამიოდ კვირა ვაცალეთ,
ახლა კი დროა, ვიდროვეთ,
ბაზარში ჩავიჩანჩალეთ.
ნეტავ კი არ ჩავსულიყავ,
იქ სხვა საქმე მომხდარიყო.
რო გენახა, მას იტყოდი,
ანტექრისტე ამდგარიყო:
ხვნეშა, კვნესა და ტირილი,
შათრახის ქვეშ კანკალ იყო.
კაკოსა და ილიკოსა
სახე სისხლით გაჰბანვიყო,
აზნაურებსაც ჰრგებიყო,
ვინც სახლში არ გაჰპარვიყო.
სოციალისტი თედუა
მიკიტნისას დამთვრალიყო,
გაეგულადა ღვინოსა,
მათრახებზე გამწყრალიყო.
წამეექცია დარაჯებს,
ერთი წიხლით შემდგარიყო.
მე გავცილდი, ის განაგრძობს,
ჯერ ცემით არ გაძღარიყო.
სავაჭრო რო მოვიკითხეთ,
სხვა ფიქრში გადამდგარიყო,
ძირს ჩამოსვლის მაგიერად
მაღლა ჭერში შამჯდარიყო,
კაპიკიან გასაკრავი
ორ კაპიკად გამხდარიყო,
ორ შაურიანი ჩითი
აბაზის ქვეშ შამძვრალიყო,
ვაჭრები დაეგვირგვინა,
ხალხის საქმე წამხდარიყო,
ყველა ფასებს აეწივნა,
იქ ღვთის მადლი აღარ იყო.
ორატორი რო გეკითხა,
ის საითღაც გამძვრალიყო,
ხალხის ფულიც გაეყოლა,
რაც სოფლიდან შამდგარიყო,
გასაკრავიც ვერ ვიყიდე,
ერთი ორად რადგან იყო.
მიველ მჭედელ კირილესთან,
მეგობრულად შავეხვეწე,
აგრემც დამაყრი მიწასა,
ერთი კვესი გამიკეთე,
შენმა მზემ გასაკრავ სპიჩკას
სამუდამოდ მოვეკვეთე,
თუ ტალ-კვესი არ ვიქონე,
თან აბედი არ ვაკეთე,
უყალივნოდ გავგიჟდები,
არ მამიკვდეს ჩემი თეკლე,
ველარც ვის შანდობას ვეტყვი,
გინდ გამიწყრეს მამა პეტრე.
ველარც ცოცხალთ გულს მოვიგებ,
თუ ყალიონ არ ჩავცეცხლე,
თუ თითო შასანდობარი
სუყველას არ მოვახვედრე.

ი. რაზიკაშვილი.

რუსეთში. „რეჩის“ სიტყვით რუსეთში ყოფილა 890 მონასტერი, აქედან მამაკაცთა 300, 17,811 ბერით, ქალებისა 228, 46,727 მონოზნით.

◆ **სემინარია გათავებულნი.** სახალხო განათლების მინისტრმა გამარტა, რომ სემინარიაში სწავლა-დამთავრებულთ მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცემათ უფლება სამხედრო ბეგრის მოხდის ვადის გადადებისა, თუ სასულიერო აკადემიაში განაგრძობენ სწავლას. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტში მოინდომებენ შესვლას, მაშინ ჯერ უნდა მოიხადონ სემხედრო ბეგარა და მერე შევიდნენ უნივერსიტეტშიო.

◆ **გაპონის მემკვიდრეობა.** პეტერბურგის ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე გაპონის მემკვიდრეობის შესახებ. გაპონის მცირე წლოვან შვილის ვექილმა სთხოვა სასამართლოს, მისცემოდა გაპონის შვილს 21,120 მანეთი. 1906 წელს, გაპონის სიკვდილის შემდეგ, ნაფიცმა ვექილმა მარგოლინმა საზღვარ-გარეთიდან მიიღო პაკეტი, რომელშიაც სხვა ქაღალდებს შორის აღმოჩნდა ფულად, 1,300 მანეთი და გასაღები ლიონის ბანკის ყუთისა. პაკეტი გადაეცა სასამართლოს გამომძიებელს ზაიცევს, რომელიც იძიებდა გაპონის მოკვლის საქმეს. ყუთი გახსნეს მოწმეების თანდასწრებით და შიგ აღმოჩნდა 14,500 მანეთი ქაღალდისფული და 14 ათასი ფრანკი ოქროს ფული. ეს ფული დაბეჭდილ იქმნა მაშინ და საქმეს მიეკერა, როგორც დოკუმენტები. ბანკის განცხადებით ეს ფული შეიტანა ვიღაც რიბნიცკიმ. ამ გვარით სცხოვრობდა თურმე საზღვარ-გარეთიდან დაბრუნების შემდეგ გაპონი. გაპონის შვილის ვექილმა ამ საბუთების ძალით მოითხოვა ფულის დაბრუნება: სასამართლოში ლიონის ბანკის წარმომადგენელმა მოითხოვა, რომ მომჩივანს უარი ეთქვას, რადგან გაპონს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ყუთში აღმოჩენილ ფულთანო. ვექილმა მოითხოვა, რომ მისცემოდა პირი გაპონის მოკვლის შესახებ მომხდარ გამოძიებისა და მოწმეთა ჩვენებისა. სასამართლომ დაადგინა, საქმის გარჩევა გადასდოს, ხოლო მოწმობა მისცეს მომჩივანს. ამასთან სასამართლომ ვექილის თხოვნის გამო, დაადგინა დაიბაროს ყველა მოწმე და ჩვენება ჩამოართვას.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! თქვენ პატივცემულ გაზეთის მე-121 N-ში მოთავსებული იყო წერილი ბ-ნ „მინაურისა“—„ქართველი სტუდენტები», სადაც ავტორი, სხვათა შორის, ეხება ქართულ გაზეთებში აჭრელებულ სტუდ. ა. დ.—ძეს საქმეს. რადგან ყველა კორესპონდენტი თავის მოვალეობად სთვლის ა. დ—ძეს წინააღმდეგ გაილაშქროს და არ გააცნოს მკითხველ საზოგადოებას ნამდვილი ვითარება საქმისა, მე ვეცდები რამდენადაც შევიძლებ მარტივად და ობიექტიურად გარდავცე თქვენი გაზეთის ფურცლებზე როგორც საქციელი თვით ა. დ—ძისა, ისე ქართულ „ზემლიაჩესტვოს“ ყურადღება თავის წევრისადმი *).

როგორც გაზეთებიდან გაიგებდით, ბ. ა. დ—ძე ამა წლის იანვრის თვეში რაღაც შეცდომით შეიქნა წევრი „ჭეშმარიტ რუსთა კავშირისა». რამ აიძულა ბ. ა. დ—ძე ასეთ ნაბიჯზე, თუმცა ეს არ არის ინტერესს მოკლებული, მაგრამ ამაზე აქ მსჯელობა სრულიად უადგილოდ მიმაჩნია. როდესაც ამაზე ხმები გავრცელდა ქართველ სტუდენტთა შორის, ა. დ—ძემ სთხოვა სტ. დიმიტრი ჯავახიშვილს, ეშუამდგომლა მას ქართულ „ზემლიაჩესტვოს“ გამგეობასთან. რათა მიეცა მას საშუალება ა. დ—ძესთვის აღიარებინა თავისი საქციელი გამგეობის წინაშე. მიუხედავად ამისა, გამგეობამ არა თუ გულდასმით არ მოუსმინა მის თანამემამულეს, არამედ დააჩქარა ფურცლების გამოცემა, რომლებითაც იწვევდა მთელ ქართველ სტუდენტობას ზურგი ექცია ა. დ—ძესთვის, და მას ნათლავდა **ჯაშუშის და გამყიდველის სახელით.**

გამოვიდა თუ არა ეს ფურცლები, დ—ძემ იმ წამსვე მიმართა ხელახლა გამგეობას თხოვნით, მოესმინათ მისთვის. გამგეობამ ახლაც უყურადღებოთ დასტოვა მისი თხოვნა. ბ. გაბუნიამ, რომლის საშუალებითაც ჰქონდა მოლაპარაკება ა. დ—ძეს გამგეობასთან, სხვათა შორის, უთხრა ა. დ—ძეს, რომ გამგეობას ემინია მენი, როგორც „ჯაშუშისა»-ო.

მაშინ დ—ძემ მოგვმართა მე და სტუდ. ნ. წულეისკირს და გვთხოვა, მიგვეღო ჩვენს თავზე მოლაპარაკება გამგეობასთან, რათა სავსებით გამორკვეულიყო საქმე და არ დარჩენილიყო ისე ბუნდოვანად, როგორც იყო ფურცლებში მოყვანილი. თუ შემთხვევა იქნებოდა, გვთხოვდა დ—ძე, მოეხსნათ ბოიკოტი. თვით ა. დ—ძე საქმის გარჩევას არ დაესწრებოდა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ მაშინ როგორც მე, ისე ნ. წულეისკირს გვქონდა სრული ნდობა ჩვენს ქართულ მემამულეთა წრეში და აგრეთვე ისიც, რომ ბრალდებული, ა. დ—ძე, როგორც «ჯაშუში» არ დაესწრებოდა საქმის გარჩევას, ცხადია, გამგეობას არა ჰქონდა არავითარი საბუთი, როგორც უფლებრივის, ისე ზნეობრივის მხრით ფეხ-ქვეშ გაეთელა კანონიერი მოთხოვნა დ—ძისა. ჩვენთვის ფრიად გასაოცარი შეიქნა, როდესაც ბ. გაბუნიამ გადმოგვცა; „გამგეობას არა სურს სამართალში გაჰყვეს დ—ძეს და თუ ეს მაინც-და-მაინც დ—ძეს სურს გამოიწვიოს გამგეობა პრესსის საშუალებით საამხანაგო სამართალშიო“. ცხადია, ასეთი საქციელი გამგეობისა ფრიად ააღელვებდა დ—ძეს და არც გასაკვირველია, თუ მან იც კადამდა, როგორც წევრნი, აგრეთვე არა წევრნი გამგეობისა მისცა პროფესსორთა დისციპლინარულ სასამართლოში. რომ ასეთი ნაბიჯი დ—ძისა იყო ნაყოფი მომენტისა და არა ჰქონია მას ჩინად ვისმესთვის ზიანი მიეყენებინა, ამას ამტკიცებს თვით ჩვენება დ—ძისა, რომლითაც ის ხელს უწყობდა ყველანი გაემართლებინათ. (თვით ბრალდებულნი ამბობდნენ მეორე დღეს, რომ დ—ძემ ჩვენი გასამართლებელი ჩვენება გამოსცა სასამართლოშიო). როდესაც თავმჯდომარე დაეკითხა დ—ძეს: რაში ხდებით ბრალს ამ პირთაო?» დ—ძემ შემდეგი უპასუხა: „ამათ შეწყვიტეს ჩემთან გამარჯობაო».

თავმჯდომარე. (მოპასუხეებს). რათ მიატოვეთ დ—ძესთვის თავის დაკვრა?

1 მოპასუხე. დ—ძეს არ უკრავთ თავს რადგან ის ქურდია (!!).

2 მოპასუხე. ის ვალს არ იხდის.

3 მოპასუხე. მან ერთხელ სურათი გადიღო მთვრალმა.

და სხვა და სხვა. ამ ორ უკანასკნელ ჩვენებას მე არ უპასუხებ და არც საჭიროდ ვსთვლი, მაგრამ ვაძლევ თავს ნებას შევეკითხო ბოლო ჩვენების ავტორს, ბ. ა. სვანიძეს (რომელიც ცილს წამებს ა. დ—ძეს ქურდობაში). **რა სახელის და სასჯელის ღირსია ის კაცი, რომელმაც ქაღალდის თამაშში წააგო ფული ქუთაისის გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ მობოჭილი და დღემდისაც არ დაუბრუნებია?“** რას უწოდებს ასეთ საქციელს ბ. ა. სვანიძე?

პროფესორთა დისციპლინარულ სასამართლომ შემდეგ ასეთი ჩვენებისა ყველა მოპასუხე გაამართლა.

როგორც ჰხედავს მკითხველი, ა. დ—ძის საქციელი თუ ფრიად ცუდია, მით უფრო ცუდი და დასამრახისია გამგეობის, როგორც მთელ მემამულეთა წარმომადგენელის, ასეთი საქციელი; მან ბრალი დასდო დ—ძეს ჯაშუშობაში, გაცემაში და თვით მანვე მოუსპო მას თავის გამართლების საშუალება.

გამგეობამ ქართულ „ზემლიაჩესტვოსი“ კიდევაც გადააჭარბა „მსწრაფ-მსროლელ“ სამხედრო სასამართლოებს. მან ცხადად დაგვანახა, რომ ის შორს არ წასულა სპარსეთის შაჰის სამართლისაგან, რომელიც უმოწყალოდ სტანჯავს ყველას, ვინც მას არ მოსწონს განურჩევლად მართალისა და მტყუანისა. ასეთი საკვირველი მოქცევა ქართველ „ზემლიაჩესტვოსი“, რა თქმა უნდა, ააღელვებდა ცოტათ თუ ბევრად შეგნებულ ნაწილს ქართველ სტუდენტებისას. „პროტესტანტები“ განაგრძობდნენ თავის კვრას დ—ძესთან; ხოლო ზოგიერთნი, რომლებმაც ხასიათის სიმტკიცე მეტი გამოიჩინეს და ითხოვდენ სამართალს დ—ძეზე და არა ხმების მიხედვით მის გამტყუნებას, ჩარიცხეს ჭეშმარიტ რუსთა ბანაკში და შეწყვიტეს მასთან თავის დაკვრა.

კომმენტარიები მეტია!

სტ. გიორგი ბელქანია.

P. S. სხვათა შორის ბოიკოტისტებმა გააფრთხილეს სასადილოს პატრონი, სადაც მე ვსადილობდი, რომ მე წევრი ვარ „ჭ. რ. კ.“ და ფრთხილად იყოს ჩემთან, მაგრამ ამაზე ლაპარაკიც არა ღირს, რადგან ეს იმდენი სისულელეა, რომ მათ ავტორებსაც ეპატიება. **გ. ბ.**

გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ შემდეგ პირთ: ქ-ნ მარიამ დემურიას, რომელმაც შემოსწირა სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სკოლას 60-დე ცალი საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“ სხვა-და-სხვა წლისა; ქ-ნ მუსხელიშვილს—შემოსწირა გლობუსი, 10 მანეთად ღირებული; ქ-ნ ასათიანისას—შემოსწირა 3 ცალი წიგნი გრამატიკისა; ბ-ნ მიხეილ ჩოდრიშვილს—შემოსწირა ბეჭედი ქართულ სექციისა, ღირ. 2 მ. 50 კ. და ერთი პატარა ლამპა, ღირ. 40 კაპ., ბ-ნ ლ. სიმონოვს—შემოსწირა 1 ცალი ნავთის ქურქელი 1 ფუთიანი; ბ-ნ თ. შილაკაძეს—შემოსწირა 2 ცალი ნავთის ქურქელი, ნახევარ ფუთიანი.

კარგი იქნებოდა, რომ სხვებიც მიჰბაძავდნენ ამათ და მით ხელს შეუწყობდნენ ჩვენი სკოლების არსებობას.

სახ. უნივ. ქართული სექცია.

აკაკის ფონდისთვის შეკრებილი ფული სად. მუხიანში. სია შემომწირველთა: სადგურის ყოფილი უფროსი ვლადისლავ იოდკო—1 მან., მღვდელი რაჟდენ სანებლიძე—1 მ., სერგეი ჯინჭველაშვილი—50 კ., ერისტო ჯაოხაძე—50 კ., მღვდელი პლატონ ჯინჭველაშვილი—30 კ., ერისტო ყუფარაძე—30 კ., ფარნაოზ ქეიშვილი—30 კ., მიხეილ ნარეშელაშვილი—30 კ., პორფილე მეფარიშვილი—25 კ., გედევან მორჩაძე—20 კ., ყარავან ციბაძე—20 კ., რაჟდენ ჯინჭველაშვილი—20 კ., ოლღა გაჩეჩილაძე-ჯინჭველაშვილისა—20 კაპ., მარკოზ სანებლიძე—20 კ., მაქსიმე კაკუშაძე—20 კ., ნიკიფორე კეპულაძე—15 კ., გრიგოლ კეპულაძე—15 კ., ერმილე კეპულაძე—10 კ., მიხაკო ნემსიწვერიძე—10 კ., იესე კეპულაძე—10 კ., ყარავან კოლუაშვილი—10 კ., აფრასიონ ფშიძე—5 კ., ვასილ გამგებელი—5 კ., არსენ ნიქაბაძე—6 კ., გიორგი აბდალაძე—5 კ., იასონ ჯიბილეია—2 კ., ივლიანე სანებლიძე—5 კ. სულ 6 მანეთი და 62 კაპ. ხარჯი: დეპეშის—2 მან. და 15 კაპ. ბიბლიოთეკის თხოვნის მარკები—1 მ. 50 კ. და ფულის გამოგზავნა—16 კ. დარჩენილს 2 მან. 81 კაპ. გიგზავნით (წერა-კითხვის საზოგადოებას) აკაკის ფონდისთვის.

სერგეი ჯინჭველაშვილი.

ეგნატე ნინოშვილის

„ჯეჯილის“ რედაქციამ მიიღო ნიკო ქიქინაძის მიერ შეგროვილი 7 მ. 50 კ შემომწირველთა სია:

ლუარსაბ ბოცვაძე 3 მ., ა. მაჩაბლიშვილი 1 მ. 50 კ., ნ. ახმეტელაშვილი 1 მ., ნინო მუსხელაშვილი 1 მ., ე. ქარუმიძე 50 ა, და ა. მრევლიშვილი 50 კ.

ნ. ბეს. ლოლობერიძისაგან 10 მ.

იაკობ ლორთქიფანიძის მიერ შეგროვილი ტფილისში მთავარ სახელოსნოების სტოლიართა ცეხში 8 მ. 35 კ. შემომწირველთა სია:

გ. არეშიძე 50 კ., ვარულაშვილი 30 კ., მ. სვანიძე 15 კ., მ. რუხაძე 50 კ., ლ. შამიხაშვილი 2 მ., მ. კუჭუხიძე 50 კ., ცერაძე 40 კ., კ. მავლაძე 20 კ., რ. გოგიტაშვილი 30 კ., ი. ცხვიტაძე 20 კ., ა. პატარკაციშვილი 20 კ., დ. ურიგაშვილი 30 კ., რ. ხარაბაძე 30 კ., გიორგაძე 20 კ., ქ. მარშანია 30 კ., ს. ბურჭულაძე 20 კ., ა. საგარეიშვილი 30 კ., გ. ჯაბაური 30 კ., ს. ჩიხლაძე 30 კ., მ. როველიაშვილი 10 კ., ს მეისტრიფაშვილი 15 კ., გ. დოდოლაშვილი 10 კ., ე. ფოცხვერია 15 კ., ს. ბოჭორიშვილი 20 კ., მ. კაციტაძე 10 კ., გ. დამენელი 50 კ., ქ. მამულაშვილი 20 კ., ი. მესხი 10 კ., ე. ასათიანი 50 კ., ა. მამაცაშვილი 10 კ., გ. კახიანი 20 კ. ფ. კოპალეიშვილი 20 კ., გ. დარსაველიძე 20 კაპ.

ბეჟრე არველაძის მიერ შეგროვილი რკინის გზის სახელოსნოს მუშათა შორის 8 მ. 5 კ. შემომწირველთა სია:

ი. მიქაძე 70 კ. ათ-ათი შაური: ნ. გოცირიძე, მ. ლომიძე, კ. თარხნიშვილი, პ. არველაძე. პ. თევზაძე 40 კ. ექვს-ექვსი შაური: ი. გოგსაძე, ი. ნიკურაძე, ნიკურაძე, ვ. ინასარიძე, ი. გიორგველაშვილი, 3 ჩიოტაშვილი, გ. ყამიეროვი, რ. მშვენიერაძე, მ. მესტვირიშვილი. თითოთითო აბაზი: პ. ფრანგიშვილი, ნ. ოსკოპელი, გ. გოცაძე, კ. ჭკუასელი, გ. გაპინაშვილი, პ. ალხაზაშვილი, ს. გაბუნია, ს. გაჯიერქოვი, ი. შავშიშვილი, ვ. ვაშაკიძე, შ. ზარქვიძე. ა ჭინჭარეული 15 კ., ს. მონასელიძე 10 კ, მ. გოგიჩაიშვილი 10 კ.

სულ 33 მ. 90 კ. დღემდე იყო 1357 მ. 52 კ. შესდგა 1391 მ. 42 კაპ.

განცხადებანი

მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარეშ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში ტფილისისა.

ტფილისიდან გადის

ბათუმისაკენ: 1) სწრაფი N 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

ბაქოსაკენ: 1) სამგზავრო N 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 6 ს 38 წ. (7 ს. 36 წ.).

ბორჯომამდე: 1) სამგზავრო N 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო N 9/10. ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

ჯულფამდე: საფოსტო N 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.),

ერევნამდე: სამგზავრო და საქონლ. N 78/79, ნაშუადღევ. 4 ს. (4 ს. 56 წ.).

მცხეთამდე: მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში—1) საქარაკო N 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარაკო N 77 a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის

ბათუმიდან: 1) სწრაფი N 2, დილის 8 ს. 38 წ. (9 ს. 36 წ.),
2) საფოსტო N 4, საღამ. 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

ბაქოდან: 1) სამგზავრო N 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 7 ს. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

ბორჯომიდან: 1) სამგზავრო N 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

ჯულფიდან: საფოსტო N 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

ერევნიდან: სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

მცხეთიდან: მხოლოდ კვირა უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის—საგარაკო N 76 a, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.). საგარაკო N 76, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.).

სიკვდილი ბაღლინჯოებს!

ახალი საშუალება „კლოპოვინი“, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ წუთში, რისთვისაც პირობას ვაძლევ. ჯერ არა ყოფილა ამ გვარი ძვირფასი წამალი.

დარიგება თან ახლავს ფლაკონს. ფასი 35 კ. უგზავნით მსურველთ ფასდადებით. მოიკითხეთ „კლოპოვინი“ ახობაძისა. მთავარი საწყობი ტფილისი, ნეკრასოვის ქუჩა, № 14 და ვორონცოვის ძეგლთან. აფთიაქებს %.

(15—ახ.—11)

პეტერბურგში გამოვიდა რუსულ ენაზე ახალი წიგნი მალაქია ბოლქვაძისა

ნუ რცხვენით ქალებს!..

ანუ

„კაცობრიობის მტერნი“

შინაარსი: წინასიტყვაობა.—წარსული.—აწმყო.—სქესობრივი ინსტინქტი და გონება.—მრუშის პსიხოლოგია.—გონს მოდით.

ფასი 65 კაპ.

„დროების“ ხელის მომწერთ დაეთმობათ 50 კაპ. შემოსავლის ნაწილი გადაეცემა ტფილისის ქართველ ქალთა წრეს. დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადრესით: Петерургъ, Сергіевская, 51, ф. Каминской·

Наивысшая награда за превосходную конструкцію и изящность швейныхъ машинъ.

Швейныя машины „Кайзеръ“

Вязальная машина

ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის

მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

ადრესი: А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—49)

ერთგული მეგობარი ქალებისა

კრემ კაზიმი მეტამორფოზა

გაიყიდა 2,000,000-მე შუშა

სამუდამოდ აშორებს ჭორფლს, ლუდულოებს, ლაქებს, ნაოჭებს და სახის სხვა ნაკლს.

(Метцль и Ко. N 8012).

(1—6,—1)

პირველი კერძო სამკურნალო

[illegible] ნავასარდიანის

დაარსებულია 1880 წელს

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

[illegible]

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
უ. მ. ჩიქოვანი: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
ა. მ. ტურბოვიჩი: 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

საღამოთი:

ი. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. დ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—115)

დაბა ახალ-სენაკში

ქ-ნ მ. დ. ფულარიას თაოსნობით

იხსნება

ქალების კერძო ოთხ-კლასიანი

პროგიმნაზია

გამოსაცდელი ეგზამენი დაიწყება 16 აგვისტოს, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბერს. (26—266—12)

ბაღი-რესტორანი

ამხანაგობის

„იმედი“-ში

სასახლის ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა სახაზინულო თეატრთან. ბაღში ყოველ დღე დღისით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. უკრავს ორკესტრი ბ-ნ პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. **ბაღში შესვლა უფასოდ.**

სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელ სასმელზე არის ფასი „კარტოჩკები“ და „პრეისკურანტები“. ფასები ზომიერია.

телефонъ N 233. (50—გაგ.—16)

კანტორა და საწყობი

„სპერმატინისა“

და

„ალმეჟისა“

გადაიტანე ვორონცოვის ძეგლთან, ნეკრასოვის ქუჩაზე, № 14.

(30—6.—4) ი. ახობაძე.

მომავალი 1910 წლის კედლის კალენდარი „განთიადი“

ამ ცოტა ხანში დაიწყება ბეჭდვა და დეკემბრის პირველ რიცხვებში გამოვა გასასყიდათ

კალენდარი, როგორც ქვემო დაბეჭდილ ნიმუშიდან სჩანს, დიდი ზომისა იქნება და ეღირება თითო 40 კაპ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 25% დაკლებით.

რომ დანამდვილებით ვიცოდეთ, თუ რამდენია საჭირო კალენდრის დაბეჭდვა, ამისთვის ვთხოვთ წიგნის მაღაზიებს და გამყიდველებს ამა წლის 20 ივლისამდე გვაცნობონ ყველამ, ვის რამდენი ცალი დასჭირდება. ამასთანავე უნდა წარმოადგინონ ბეღ რაოდენობის მიხედვით 25%, რათა ტყუილად არ დაგვირჩეს დაბეჭდილი.

ადრესი: ტფილისი, ვანქის დიდი ქ., N 12. სტამბა „ხინათლე“, კედლის კალენდარის „განთიადისთვის“.

იანვარი (31 დღე)—აპახი

მზე: ამოდის 7 საათ. 19 წთ. ჩადის 5 საათ. 7 წთ.

15

მთვარე: დილით 10 ს. 15 წთ. სავსემთვარე 17 დღისა.

ახალი სტილით 28

მე-15 დღე წლის თავიდან. რჩება 350 დღე წლის დამლევამდე

პარასკევი

მართლ.-მად. ღირს. მამათა ჩვენთა პავლე თებელისა და იოანე გლახაკისა. წმ. სალომე და ბეროჟავრასი.

კათოლიკეთა. წმ. პავლე მეუდაბნოელისა და წმ. მავრისა.

გრიგორ. წმ. პეტროსისა, ვლასა ეპისკოპოსისა და მთავარმოწამის აბესალომისა.

უახლოესი უქმე (გარდა კვირისა) სამშაბათი, 2 თებერვალი.

● ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობა ●

იმერეთი სრულიად შეუერთდა რუსეთს 1810 წ.
გურიამ მიიღო ვასალური ქვეშევრდომობა რუსეთისა 1810
ტფილისში მოჰკლეს ექიმი ნ. ა. ხუდადოვი 1907 წ.
ფოთის ციხე გადადის რუსეთის ხელში, რომლის უფროსადაც ითვლებოდა ორბელიანი 1810 წ.
რუსეთში პირველად დართეს ნება კერძო სტამბების გახსნისა 1783 წ.

ექიმი ნ. ა. ხუდადოვი

ნ. ა. ხუდადოვი მთელს კავკასიაში კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო. მე-70 წლებში ჩამოვიდა ტფილისს და მას შემდეგ დაუღალავად მუშაობდა როგორც ლიტერატურაში, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე. მონაწილეობას იღებდა ქართულ პრესაში და რუსულშიაც, სადაც დამცველი იყო ხალხის ინტერესებისა და მქადაგებელი მოწინავე აზრებისა, როგორც საზოგადო მოღვაწე. ნიკო ხუდადოვი დაუღალავად მუშაობდა სახალხო საქმისათვის. მისი თაოსნობით და მეცადინეობით დაარსდა ტფილისში სახალხო კითხვების საზოგადოება. მისი თანამშრომლობით და მეცადინეობით არსებობდა სახალხო თეატრი, ხალხიც იცნობდა ამ მუშაკს და ხშირად მიჰმართავდა ხოლმე მას გაჭირვებისა და დარდის დროს: ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს ამ მოღვაწეს, რომელიც ავაზაკურად და სრულიად უმიზეზოდ გამოასალმეს წუთისოფელს.

ნ. ხუდადოვი იყო მსხვერპლი იმ შავბნელ ძალების, რომელნიც შეკავშირდნენ და ამოძრავდნენ თანამედროვე განმანთავისუფლებელ მოძრაობის შესაფერხებლად და შესაჩერებლად ეჭვს გარეშე, რომ ამ ადამიანის სიკვდილი განზრახ დამზადებული და ჩადენილი იყო მაგ-რაზმელთა მიერ, რომელთაც ჰგონიათ, რომ დაქირავებულ მკვლელთა შემწეობით და მოღვაწეთა მოკვლით შეიძლება მთელი ხალხის მოძრაობის შეჩერება. არ იციან სულით დაცემულებმა და გონებით დაბნეულებმა, რომ ყოველი ახალი მსხვერპლი, რომელიც იწირება ხალხის მოძრაობისათვის, აძლიერებს იმ ცეცხლს, რომელიც საბოლოვოდ მშთანთქავს ბნელის ძალების ხელმძღვანელებსა და დაქირავებულ მკვლელთა ორგანიზატორებს.

დამაკვირდი

რაც უნდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, პატიოსანს გულში მაინც ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს.

---

*) ვბეჭდავთ უცვლელად ბ-ნ გიორგი ბელქანიას წერილს. რედაქცია.

სტამბა „ხინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აბლაძე.